საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 23-25 ივლისი . 2021 წ. №161-162 (9280-9281) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ქუჩაზე ქუდი ეწვის...

ანუ ძალადობა არ იმალება, თვით ჟურნალისტისაც კი!..





ბევრმა იცის, როდის და რატომ ეწვის ქურდს ქუდი. ზუსტად ამ ქურდის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ 20 ივლისს მთაწმინდაზე კახა კალაძის თბილისის მოურავად (თავკაცად) მეორედ წარდგენის შემდეგ მიუკერძოებელი კრიტიკისა და ცილისწამების ერთმანეთში ამრევი ცნობილი ოთხი ტელევიზიის („მთავარი“, „პირველი“, „ფორმულა“, „კავკასია“) მეპატრონეთა იდეოლოგიური ბოზანდარა გამხმოვანებლები, რომლებიც ჩვეულებისამებრ შეხტნენ და შეკუნტრუშდნენ, კახა კალაძისგან დამსახურებული, უტყუარი კრიტიკა რომ ემწვავათ. თუმცა კალაძეს ისინი სახელდობრივ არ დაუსახელებია, ჯერ ზოგადად დაგმო ყოველგვარი ძალადობა და მერე ახლა იმაზეც ილაპარაკა, რომ ზოგიერთი სატელევიზიო არხი ცილისწამებასა და განზრახ სახელის გატეხას კრიტიკას ეძახის და თავიანთ თავსაც კრიტიკულ ტელევიზიებს უწოდებენ. ეს მაშინ, როცა მთელი 24 საათი ეგრეთ წოდებული ოპოზიციის გათეთრების სასარგებლოდ ხელისუფლებისთვის ტალახის სროლაში ათენებენ და აღამებენ. ყველა საღად მოაზროვნე ხედავს, რომ ეს ოთხივე აშკარად მტრული არხი მკვეთრად გამოხატული მხარეა და თანაც როგორი მხარე!

აყვირდნენ, აღრიალდნენ, აყიყინდნენ, ეგრევე ზაფრა აეშალათ, როგორ თუ კალაძემ კრიტიკული არხები გაგვაკრიტიკა, როგორ თუ 5 ივლისის მოძალადე ბრბოს მიგვათვალაო... იწყინეს, როგორ თუ მოძალადეებად მოგვიხსენიაო...

აბა, მოძალადეს სხვა რა უნდა უწოდო?!..

არადა, 20 ივლისს ყველამ ცხადლივ დაინახა, რა დღეშიც იყვნენ — ანა ახალაია, რუსუდან დუმბაძე, ნანუკა ქაჯაია („პირველი“), რომელთაც სტუდიიდან შუმი ინგელი დიანა ტრაპაიძე დირიჟორობდა, აგრეთვე „მთავარისა“ (მტარვალისა) და „ფორმულას“ სხეულიდან ამოსავარდნად გაჭიფხული კორესპონდენტები, რომელთაც გაჟურნალისტებული ინტრიგანი, გავახოებული სანაია ამირსპასალარობდა.

წარდგინებაზე მოსულ სტუმრებს გზას უღობავდნენ და ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ: **არა გრცხვენიათ, რომ 5 ივლისის შემდეგ ამ წარდგინებას ესწრებითო?..** და მიკროფონებს პირდაპირ პირში სჩრიდნენ. ერთი სიტყვით, დანიშნულ ადგილამდე მისვლას არ ანებებდნენ. ერთ-ერთმა, „მთავარის“ (მტარვალის) წარმომადგენელმა, ვინმე კაკაბაძემ საეჭვოდ გარდაცვლილი ოპერატორის სურათი თვალებწინ აუფრიალა გიორგი ვოლსკის, რომელმაც სურათი ხელიდან გამოსტაცა და გულზე მიიკრა — **ეს ჩვენია, ჩვენ მოგვიკვდა და არა თქვენ, მის ცხედართან პოლიტიკურ მოცეკვავეებსო...** და „პირველის“ ერთ-ერთმა გამძღოლმა ვინმე დაბრუნდაშვილმა თუ ჩაბრუნდაშვილმა ეგრევე აუწყა მაყურებელს — ცეკას ყოფილმა ინსტრუქტორმა გია ვოლსკიმ კორესპონდენტს ხელიდან გამოჰგლიჯა დაღუპული ლაშქარავას პორტრეტი და დახიაო. **ვოლსკიმ გულზე მიიკრა, ჩვენიაო, ამან კი — გამოჰგლიჯა და დახიაო.** აი, როგორი სიმართლის მომწოდებლები არიან ეს არხები, ანუ ბრახები, დიახ ბრახები, რადგან ყოველწამიერ ტყუილსა და ცილს აბრეხვებენ.

გაწევაში ცხრა უღელი ხარ-კამეჩის მჯობნელმა, პოლიტიკურად გაკუდიანებულმა ინგა გრიგოლიამ და ეკა მიშველაძემ ხელად „რეაქცია“ და „საჯარო პოლიტიკა“ გამართეს, სადაც კიდევ ერთხელ აშკარად გამოჩნდა ამ ეგრეთ წოდებული გაჟურნალისტებული მჩხავანა დედაკაცების ნამდვილი სახე — **გადადგეს მთავრობა, გადადგეს პრემიერი, შეიქმნას ჩრდილოვანი კაბინეტიო,** და კვერის დამკვრელებად მიწვეული ჰყავდათ ერთი და იგივე, სახეუცვლელი უმჭკუა დემაგოგები — ლევან ხაბეიშვილი, ხატია დეკანოიძე, ლევან სამუშია, სალომე სამადაშვილი, ბადრი ჯაფარიძე, თამარ კორძაია, აკაკი ბობოხიძე, აკაკი მინაშვილი, თინა ბოკუჩავა, ყველა უსინდისოს რა ჩამოთვლის...

შიგადაშიგ ჩნდებიან ყოფილი მეოცნებენი — კაცურ სინდისთან მწყრალად მყოფი; გაყლინჯებული ბუკა პეტრიაშვილი, ბათუმელი განაციონალებული მურმან დუმბაძე და „ოცნების“ თვით ყოფილი გენერალური მდივანი, „ოცნებიდან“ უგუნურებისთვის გამოპანღურებული, ახლა ბოროტად ნესტარგაკრეფილი არმაზ ახვლედიანი, რომელსაც რატომღაც არ მოსწონს ვახტანგ გომელაურის ინტელექტუალური (გონებრივი) შესაძლებლობანი (SIC!)...

მოკლედ, ძალაუფლებისთვის მოთმინებადაკარგულ ოპოზიციას მოლანდებები დაეწყო, ანუ რაც ესიზმრებათ, ის ელანდებათ. აქამდე ცხადშიც და ძილშიც (სიზმარშიც) **„41“** რიცხვს ებრძოდნენ, ახლა დაემატა რიცხვი **„43“,** რამაც ჭკუიდან გადაიყვანა პოლიტიკურად კარგა გვარიანად ჩასვრილი სააკაშვილის ხალხის თვალში საბოლოოდ სახელგატეხილი ლაშქარი, რომელსაც უმეტესად ის ქურდები შეადგენენ, უნამუსო თავებზე ბინძური ქუდები რომ ეწვით.

„საქართველოს რესპუბლიკა“

ქართული აზრი — კოსმოსისკენ!

⑥ დავით გურგენიძე: პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი - ისტორია, რომლის შექმნაც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა განაპირობა

დავამარცხოთ სიძულვილი და ერთმანეთის მტრობა!

...ხშირად ვისმენთ სხვადასხვა ტელეეთერიდან ადამიანების დამცირებას, ცილისწამებას, მათ ბულინგს მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური თუ სხვა ნიშნის გამო.

⑤

ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ „ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲮᲘ“, „ᲢᲕ-ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ“ ᲓᲐ „ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ“!

ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც მასში წერია, დიდი ხანია საქართველოს ეკლესიაზე გარკვეული ძალების მიერ სერიოზული შეტევა ხორციელდება, 5-6 ივლისის მოვლენების შემდეგ კი ჩვენს მედიასივრცეში ვითარება უფრო გამწვავდა და უკიდურესად აგრესიული ხასიათი მიიღო.

„სიძულვილის ენით განსაკუთრებით გამოირჩევა „მთავარი არხი“, „ტვ-პირველი“ და „ფორმულა“, რომელთა ეთერითაც პირდაპირ და მოურიდებლად ხდება საქართველოს საპატრიარქოს, კათოლიკოს-პატრიარქის, მღვდელმთავრების, მღვდლების და მრევლის შეურაცხყოფა; ისმის მუქარაც და ანგარიშსწორებისაკენ მოწოდებებიც.

ხშირად აღნიშნული ტელეარხების ჟურნალისტები (ვფიქრობთ, ხელმძღვანელთა დავალებით) ინფორმაციის ობიექტურად გაშუქების ნაცვლად, აჟღერებენ მიკერძოებულ შეფასებებს და უსაფუძვლო ბრალდებებს, მიზანმიმართულად ამახინჯებენ ფაქტებს და ცდილობენ, პროვოკაციული კითხვებით წონასწორობა დააკარგვინონ რესპონდენტს; შემდეგ კი, კონტექსტიდან ამოგლეჯილ, დამონტაჟებულ ისეთ სიუჟეტებს უშვებენ, რომ მაყურებელმა სასულიერო პირი მოძალადედ აღიქვას.

მართალია, გარკვეულ გადაცდომას ერთეული სასულიერო პირის მხრიდან ჰქონდა ადგილი, მაგრამ მიზანმიმართულად ხდება კერძო შემთხვევის განზოგადება და საერთოდ ეკლესიის მსახურთა მოძალადეობაზე აქცენტის გაკეთება. მაშინ, როდესაც არც კი ახსენებენ, რამდენმა მოძღვარმა გადაარჩინა იგივე ჟურნალისტები 5-6 ივლისს ძალადობისაგან. ამასთან, რა თქმა უნდა, არ ამხელენ „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებსა და მხარდამჭერთ, მათ ფსიქოლოგიურ ძალადობებს, პროვოკაციულ განცხადებებსა და ქმედებებს.

ამ ჟურნალისტებს ტაძრის ეზოები პოლიტიკურ დებატებში ჩართვისა და შეურაცხყოფის ადგილად სურთ აქციონ, ცალკეულ რელიგიურ სწავლებას პოლიტიკური განაცხადის სახე შესძინონ და ეს პრობლემების შექმნის მიზეზად წარმოაჩინონ. ამასთან, ისინი არ ერიდებიან ჩვეულებრივი მოქალაქეების კერძო სივრცეში ნებართვის გარეშე შეჭრასაც და უბრალო ადამიანების უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებას.

უხეშად ირღვევა რა ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, საჯაროდ კვლავ ხდება დემონსტრირება ფსიქოლოგიური ძალადობის და სამოქალაქო მშვიდობისათვის ხელის შეშლის, რაც საელჩოებისა და არასამთავრობო სექტორისთვის რატომღაც შეუმჩნეველი რჩება.

სამწუხაროდ, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წევრიც, იმის ნაცვლად რომ იზრუნოს პროცესების ნორმალიზებისათვის, ტოლს არ უდებს მედიას ეკლესიის შეურაცხყოფასა და არეულობის შექმნაში.

ჩვენ კიდევ ერთხელ ყველას მოვუწოდებთ თავშეკავებისკენ; მივენდოთ ღმერთს, და მოთმინებით დავძლიოთ გამოწვევები.

მათთვის კი, ვისაც საერო კანონმდებლობით სურთ ნაბიჯების გადადგმა, განვუმარტავთ: საქართველოს კანონით, ნებისმიერი მოქალაქე დაცულია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, არასასურველი კომუნიკაციისა და ადევნებისგან (151-I მუხლი).

სისხლის სამართლის კოდექსით, ასევე, ისჯება ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წეს-ჩვეულების აღსრულებისთვის ხელის შეშლაც (მუხლი 155-ე). აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეულ ადამიანს თუ ტაძრის წინამძღვრებს შეუძლიათ, წერილობით მიმართონ ამა თუ იმ ტელეარხის ხელმძღვანელობას და შეატყობინონ, რომ არ სურთ მათი ტელევიზიის ჟურნალიტებთან კომუნიკაცია; რადგან დამაბრკოლებელი გარემოებები ექმნებათ; ასევე მიზანშეწონილია, შესაბამისი განაცხადი განთავსდეს ტაძრის ეზოს შესასვლელეთან;

მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მიმართვის საფუძველზე, პოლიციას ევალება, შეზღუდონ ამგვარ ჟურნალისტთა თქვენს სივრცეში გადაადგილება. ღმერთმა მოგვცეს დათმენის უნარი და ლოცვის ძალა, ამინ“.

ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ-ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიაში მოღვაწე სახელგანთქმული ქართველი ექიმის, პროფესორ **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ-ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„დიდ მწუხარებას გამოვთქვამ გერმანიაში მოღვაწე სახელგანთქმული ქართველი ექიმის, პროფესორ ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის გარდაცვალების გამო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის გულშემატკივრობა თავისი ქვეყნის სამედიცინო საზოგადოებისადმი. ის ქართველი კარდიოქირურგების არაერთ თაობას მუდმივად უზიარებდა მათ სფეროში არსებულ თანამედროვე მიღწევებს. სწორედ ეს არის საკუთარი ქვეყნის სიყვარული და ნამდვილი პატრიოტიზმი. სამძიმარს ვუცხადებ ბატონი ვლადიმერის ოჯახს, მის ძმას, გამოჩენილ ქართველ მხატვარს ბატონ გიორგი ალექსი-მესხიშვილს. ამ მძიმე დანაკლისს ვუსამძიმრებ ახლობლებს და მთელ სამედიცინო საზოგადოებას“.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ: ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ!

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔᲪᲐᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ.

„საქართველო მცირე, მაგრამ ღია ბაზარია, რომელიც სარგებელს იღებს საერთაშორისო ვაჭრობიდან, ტურიზმიდან და ტრანსპორტირებიდან. მიუხედავად იმისა, რომ იგი მგრძნობიარეა გლობალური და რეგიონული შოკების მიმართ, 1991 წლიდან ქვეყანამ ფართო ეკონომიკური რეფორმები განახორციელა, რამაც შედარებით კარგად ფუნქციონირებადი და სტაბილური საბაზრო ეკონომიკა შექმნა. ზრდის საშუალო ტემპი 2005 წლიდან 2019 წლამდე 5%-ზე მეტი იყო და საქართველოს რეიტინგები შთამბეჭდავად გაუმჯობესდა გლობალურ ბიზნესში, მმართველობაში, კორუფციასთან ბრძოლასა და სხვა ინდექსებში. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ორიენტირებულია დაბალ დეფიციტზე, დაბალ ინფლაციაზე და მცურავ რეალურ გაცვლით კურსზე, თუმცა უკანასკნელზე გავლენა იქონია რეგიონულმა მოვლენებმა, მათ შორის რუსეთზე დაწესებულმა სანქციებმა და სხვა საგარეო ფაქტორებმა, მაგალითად, უფრო ძლიერმა დოლარმა“, — ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ წარსული მიღწევები შემოატრიალა და მნიშვნელოვანი ზეწოლა მოახდინა ეროვნულ ვალუტასა და ადგილობრივ ეკონომიკაზე.

„საერთო ჯამში, საქართველოში ბიზნესისა და ინვესტიციის პირობები მყარია. თუმცა მზარდი უნდობლობაა სასამართლო სექტორის შესაძლებლობის მიმართ, რომ კომერციულ დავებს განიხილავს დამოუკიდებლად ან დროული, კომპეტენტური გზით, რამდენადაც ბიზნეს-დავების ნაწილი სასამართლო სისტემაში წლობით ჭიანურდება. სხვა კომპანიები მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების არაეფექტურ პროცესზე მიუთითებენ, ასევე სირთულეებზე ინტელექტურალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობის აღსრულების მიმართულებით; არაეფექტურ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაზე; მიკერძოებულ სამართალზე; რეგულაციებისა და კანონების შერჩევით აღსრულებაზე, მათ შორის, სავაჭრო კანონების, საკუთრების უფლებების და სხვა. საქართველოს მთავრობა განაგრძობს მუშაობას ამ საკითხების გადასაჭრელად და მიუხედავად ამ დარჩენილი გამოწვევებისა, საქართველო რეგიონში მაღალ ადგილს იკავებს, როგორც ბიზნესის კეთების კარგი ადგილი“, — აღნიშნულია ანგარიშში.

სახელმწიფო დეპარტამენტში ასევე აღნიშნავენ, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და არ ცნობს საქართველოს რეგიონებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებლად.

ᲪᲔᲡᲙᲝᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲕ „ᲩᲐᲘᲭᲠᲜᲔᲜ“...

ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ **სესიის პლენარულ სხდომაზე, პარლამენტმა მეორედ უყარა კენჭი საქართველოს პრეზიდენტის მიერ ასარჩევად წარმოდგენილ ცესკოს თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატებს. ამჯერადაც ვერც ერთმა კანდიდატმა პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობის მხარდაჭერა ვერ მიიღო.**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოდგენილ გიორგი კალანდარიშვილის კანდიდატურას მხარი 83 დეპუტატმა დაუჭირა, ხოლო 11-მა ხმა წინააღმდეგ მისცა. მეორე კანდიდატმა გიორგი სანტურიანმა 4 დეპუტატის მხარდაჭერა მიიღო, 11 კი, წინააღმდეგი იყო. ცესკოს წევრობის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილ გია ცაცაშვილის კანდიდატურას მხარი 83 დეპუტატმა დაუჭირა, 10-მა კი, წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო მეორე კანდიდატმა ლელა ტალიურმა 18 ხმა მიიღო, წინააღმდეგი 2 დეპუტატი იყო.

ცესკოს წევრობის მეორე ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილ თამარ სართანიას კანდიდატურას მხარი 18 დეპუტატმა დაუჭირა, 2-მა ხმა წინააღმდეგ მისცა. მეორე კანდიდატმა მაია ზარიძემ 77 დეპუტატის მხარდაჭერა მიიღო, 10 -ის წინააღმდეგ.

იმის გამო, რომ ცესკოს თავმჯდომარის და წევრების არჩევა კვლავ ვერ მოხდა, კანონმდებლობის თანახმად, გაიმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. აღნიშნული კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობა. თუ ცესკოს ვაკანტურ თანამდებობაზე პირთა არჩევა კვლავ ვერ მოხდა, გაიმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. აღნიშნული კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. რადგან ცესკოს თავმჯდომარის და ცესკოს წევრების არჩევა პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის ან პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩევა მოხდება, მათი უფლებამოსილების ვადა 6 თვე იქნება.

„ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ!

ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲐ, თითქოს რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას ავუკრძალე შემოსვლა, შეეძლოთ, მოემართათ, ახალი არ არის, როდესაც საფრთხე ექმნება სხდომის ჩატარებას, აუცილებელია უსაფრთხოების ზომები დავიცვათ, — ასე მიმართა პარლამენტის თავმჯდომარემ ბიუროს დღევანდელ სხდომაზე ოპოზიციონერ დეპუტატ ხათუნა სამნიძეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პარლამენტთან გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით.

კახა კუჭავას თქმით, პრესკონფერენციას ნებისმიერი ჩაატარებს, თუ ამის სურვილი ექნება.

„ზოგადად, მოქმედებს წესი, რომელიც არ არის ახალი და არ ხდება მხოლოდ დღეს ან გუშინ, როდესაც საფრთხე ექმნება სხდომის ჩატარებას, აუცილებელია უსაფრთხოების ზომები იქნას მიღებული. ამის სამწუხარო პრეცედენტი ჩვენ გვქონდა, მათ შორის, უშუალოდ დეპუტატების მონაწილეობით. ამიტომ, არავის კონკრეტულად შეზღუდვა არ ჰქონია, შეიზღუდა ვიზიტორების შემოსვლა, როგორც ხდება ბოლო ორი რიგგარეშე სხდომის მსვლელობის დროს. არაფერი ახალი ამაში არ არის. ეს შეიძლება, განხორციელდეს ნებისმიერ დროს, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ არის მიზანმიმართული მცდელობა და გვახსოვს, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განცხადებები, ვახტანგ გომელაურის მოსმენა. მისთვის კითხვების დასმა მათ არ სურდათ, უნდოდათ, სხდომა ჩაეშალათ, ეს არის სამწუხარო რეალობა. ამას თვალი უნდა გავუსწოროთ და ამას ხალხიც ხედავს. როდესაც იქნება მსგავსი შემთხვევა, ყოველთვის მზად ვარ, ინდივიდუალურადაც განვიხილო და ნებისმიერს მიეცეს საშუალება, საპარლამენტო ფორმატი გამოიყენოს, თუ შესაბამისი წესრიგი იქნება და არანაირი პრობლემა არ მაქვს არც ერთ იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ჩამოთვალეთ და ნამდვილად მივესალმები ნინო წილოსანის შემოთავაზებას, განვიხილოთ ეს საკითხი და შემდეგ გაკეთდეს განცხადებებიც, დაგმობაც და ასე შემდეგ — ყველაფერი, რაც საჭირო იქნება“, — განაცხადა კახა კუჭავამ.

ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი!

ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენი მთავარი ამოცანაა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება!

ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება, შემდგომი წლების განმავლობაში მაქსიმალური ყურადღება დავუთმოთ თავდაცვის ძალების განვითარებას, გაძლიერებას, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის სამინისტროს სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„მინდა, ჩვენს მოსახლეობას შევახსენო, რომ ჩვენ დავიწყეთ გრძელვადიანი დაგეგმვა, თითოეულმა უწყებამ უკვე შეიმუშავა 10-წლიანი განვითარების, ხედვის პირველადი დოკუმენტები. ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება, შემდგომი წლების განმავლობაში მაქსიმალური ყურადღება დავუთმოთ თავდაცვის ძალების განვითარებას, გაძლიერებას, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, რაც, საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ემსახურება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას და მის დაცვას.

მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პატივი იყო, ვყოფილიყავი თავდაცვის მინისტრი, მემსახურა თქვენთვის, ძვირფასო ოფიცრებო. ჩვენ ძალიან ბევრი რამ განვახორციელეთ ამ 1 წლის განმავლობაში, ძალიან ბევრი წარმატებული რეფორმა, ძალიან ბევრი საქმე განვახორციელეთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ერთად შემუშავებული ის გეგმა, რომელიც კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს ჩვენს ჯარს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, თუ რა დგას 10-წლიანი განვითარების გეგმის იდეის უკან.

„როდესაც მე ვიყავი თავდაცვის მინისტრი, არაერთი შეხვედრა მქონდა თავდაცვის ძალების იმდროინდელ მეთაურთან, ბატონ ვლადიმერთან, შემდეგ ბატონ გიორგისთან. ჩემს გუნდთან, ჩემს მოადგილეებთან ერთად ვფიქრობდით, როგორ შეგვემუშავებინა გრძელვადიანი დოკუმენტი, ხედვა, რომელიც იქნებოდა ჩვენი ჯარის განვითარების მყარი გარანტია და საფუძველი. ჩვენი ამოსავალი წერტილი და ამოცანა იყო ის, რომ შეგვექმნა ისეთი ხედვა, დოკუმენტი, რომელიც არ დაექვემდებარებოდა მუდმივ ცვლილებას. ეს არ იქნებოდა დამოკიდებული მინისტრების ცალკეულ ინდივიდუალურ ხედვებზე, არამედ ეს იქნებოდა ჯარის, თავდაცვის მიერ შემუშავებული ხედვა, დოკუმენტი, რომელიც იქნებოდა აუცილებლად შესასრულებელი თითოეული მინისტრისთვის, პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის. სწორედ აქედან წარმოიშვა ეს იდეა და 6 თვის განმავლობაში პირველი დოკუმენტი შევიმუშავეთ შარშან. დღევანდელი დღეც არის ამ მიზნით, რომ ჩვენს მოსახლეობას წარვუდგინოთ ჩვენი ძირითადი ხედვები“, — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

თავდაცვის მინისტრმა პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისა და იმ ღვაწლისთვის, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის ძალებისთვის გასწია.

„ჩვენი ჯარის გაძლიერების პროცესში უმნიშვნელოვანესია სამთავრობო გუნდის მხარდაჭერა და განსაკუთრებულია ბატონი პრემიერ-მინისტრის წვლილი. მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ პრემიერს იმ მხარდაჭერისა და განსაკუთრებული ძალისხმევისთვის, რომელიც მან გასწია და აგრძელებს ჩვენი ჯარის გაძლიერებისთვის და მისი წარმატებული ტრანსფორმაციისთვის, ასევე მთელ სახელისუფლებო გუნდს მხარდაჭერისთვის. დარწმუნებული ვარ, თავდაცვის ძალების სამოქმედო გეგმა 2020-2030-ის წარმატებით განხორციელების შედეგად, ჩვენ მივიღებთ არსებითად გაძლიერებულ, სრულიად მოდერნიზებულ და თანამედროვედ აღჭურვილ თავდაცვის ძალებს“, — განაცხადა ჯუანშერ ბურჭულაძემ.

თავდაცვის სამინისტროს სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია თავდაცვის ძალების საერთო საჯარისო ცენტრში გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსისა და თავდაცვის ძალების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ჯუანშერ ბურჭულაძე: ჩვენ საკანონმდებლო დონეზე უზრუნველვყოფთ ოფიცრების მომავალს, გავაუმჯობესებთ სოციალურ პირობებს

ჩვენ ამბიციური გეგმები დავსახეთ ავიაციის განვითარების მიმართულებით; საავიაციო პარკის სრულად აღდგენის ფარგლებში, მხოლოდ წელს გარემონტდა 4 მოიერიშე და 7 ვერტმფრენი, — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ თავდაცვის სამინისტროს ათწლიანი სამოქმედო გეგმის პრეზენტაციისას განცხადა.

მინისტრის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საფრენი აპარატების აღდგენა ხდება უწყების რესურსებით, რასაც საფუძველი ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობისას ჩაეყარა.

„საფრენი აპარატების აღდგენა ხდება ჩვენი რესურსებით, რასაც საფუძველი პრემიერ-მინისტრის თავდაცვის მინისტრობისას ჩაეყარა და რამდენიმე წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა. პარალელურად ხორციელდება მფრინავებისა და პერსონალის კვალიფიკაციისა და სპეციალობების შესაბამისი გადამზადება“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ჯუანშერ ბურჭულაძის თქმით, გრძელდება სამხედროების დაფასების პოლიტიკა და ამ მიზნით გაიზარდა ხელფასები, გაძლიერდა სამხედროების კვებითი, ჯანდაცვის, განათლების, საბინაო, აღჭურვილობისა და სხვა მიმართულებები.

„აქტიურად მიმდინარეობს მახათას მთაზე ბინების მშენებლობის პროცესი, სადაც ჯარის ქალაქის — Army City-ის მშენებლობა 2022 წლის ბოლომდე დასრულდება, რომელშიც ჯამში 1000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე იცხოვრებს.

პრემიერის მხარდაჭერით, ჩვენ საკანონმდებლო დონეზე უზრუნველვყოფთ ოფიცრების მომავალს, მათ სოციალურ პირობებს და დავაინიცირებთ კანონპროექტს, რომელშიც სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას, ყველა სამხედრო წოდების მაიორს და უფრო მაღალი წოდების მქონე პირს გადასცეს ბინა და საკანონმდებლო დონეზე მივცემთ გარანტიას, ანაზღაურების გარანტირებულად ზრდასთან დაკავშირებით“...

რუსეთის მხრიდან სამხედრო აგრესია ძირითად გამოწვევად რჩება!

რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა ლოკალური უსაფრთხოების ძირითად გამოწვევად რჩება.

მისი თქმით, აღნიშნული გეგმა იმ ნაბიჯების ერთობლიობაა, რომელიც ჩვენს თავდაცვის ძალებს აბსოლუტურად სხვა ეტაპზე გადაიყვანს. მინისტრმა ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე რუსეთის შესაძლო საფრთხეებზე ისაუბრა.

„თავდაცვის სამინისტროს მომავალი ხედვა ლოკალური, რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების ანალიზს ეფუძნება, რასაც ეროვნული საფრთხეების შეფასების დოკუმენტი განსაზღვრავს. ჩვენი ანალიზით, ლოკალური უსაფრთხოების ძირითად გამოწვევად რჩება რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა. ასევე, სამხედრო აგრესიის შემთხვევაში უსაფრთხოების ფორმალური საერთაშორისო გარანტიების არარსებობა. მოსალოდნელია, რომ რუსეთი კვლავ გააგრძელებს ჰიბრიდულ მოქმედებებს. მათ შორის ბორდერიზაციის პროცესს, კიბერშეტევებს, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელებას საქართველოში ეროვნული თანხმობის შერყევისა და საზოგადოებაში არსებული პროდასავლური, საგარეო-პოლიტიკური კურსის დისკრედიტაციის მიზნით.

ასევე, რეგიონული უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევაა, რუსეთის მცდელობები, დააბრუნოს მეზობლები და მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნები საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაზე, ან სულ მცირე, აღკვეთოს მათი დასავლეთთან ინტეგრაცია. გასათვალისწინებელია რუსეთის ფედერაციის მნიშვნელოვანი სამხედრო შესაძლებლობები და მცდელობები, შეინარჩუნოს უპირატესობა რეგიონში.

რაც შეეხება გლობალურ დონეზე უსაფრთხოების გამოწვევებს, რუსეთი შეეცდება შეასუსტოს აშშ-ის, ნატოსა და ევროკავშირის როლი და გავლენა გლობალურ პოლიტიკაში“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

აშშ-ის მთავრობის საჩუქარი ახალციხელებს

ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის, აშშ-ის მთავრობამ ადგილობრივ ხელისუფლებას კატასტროფის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად 382,000 დოლარის ღირებულების აღჭურვილობა გადასცა, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში აშშ-ის საელჩო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ეს საჩუქარი, რომელიც ექვს გენერატორს, ექვს კარავსა და ექსკავატორ-დამტვირთველს მოიცავს, აშშ-ის არმიის ევროპული სარდლობის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ნაწილია.

„გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ საქართველოს ეროვნული გვარდიისა და გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის წარმომადგენლებს თანამშრომლობისა და ახალციხეში ჩამოსვლისთვის, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის კარვის გაშლა-გამოყენების დემონსტრირებაში დაგვეხმარნენ“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



მე ვარ კახა კალაძე, ადამიანი, რომლის წარმატების უკან ყოველთვის იდგა ძლიერი გუნდი!..

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, დედაქალაქის მერობისთვის კვლავ კახა კალაძე იბრძოლებს. „ყველა დროის საუკეთესო“ მერი. – ასე წარადგინა პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ მოქმედი მერი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს აქვს პრინციპული პოლიტიკური დატვირთვა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ მივიღოთ მყარი პოლიტიკური მხარდაჭერა საზოგადოებისგან, მივიღოთ ყოველი მეორე ამომრჩევლის ხმა ამ არჩევნებშიც. დარწმუნებული ვართ, 2 ოქტომბერს ქართველი საზოგადოება კიდევ ერთხელ ეტყვის უარს პარტიებსა და პოლიტიკოსებს, რომელთა საქმიანობას წითელ ხაზად გასდევს დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის უგულებელყოფა, ადამიანის უფლებების უხეში ხელყოფა, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების დათმობა, სიცრუე და ღალატი. გვჯერა, რომ კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს სიმართლე – სიცრუეზე; ღირსება – უპრინციპობაზე; ერთგულება – ღალატზე; ჰუმანურობა და პატრიოტიზმი – ადამიანის, სამშობლოსა და ეკლესიის სიძულვილზე; სინათლე – სიბნელეზე; დასავლეთი – ჩრდილოეთზე. ეს გამარჯვება არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ გაგრძელდეს ჩვენი ქვეყნის და მისი დემოკრატიული სისტემის შეუფერხებელი და სტაბილური განვითარება. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი, ავისრულოთ თითოეული ჩვენგანის ქართული ოცნება – საბოლოოდ დავძლიოთ სიღარიბე, გავხდეთ ევროპული და ევროატლანტიკური ოჯახის სრულფასოვანი წევრი, დავიბრუნოთ ოკუპირებული აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩვენი აფხაზი და ოსი დები და ძმები, მივაღწიოთ საყოველთაო ეროვნულ ერთიანობასა და კეთილდღეობას. სიმართლით და ხალხის მხარდაჭერით, ერთად გავიმარჯვებთ საქართველოს წინსვლისთვის!“, – განაცხადა **კობახიძემ**.

დღეიდან „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო კამპანიას იწყებს და დარწმუნებული ვარ, მთელი საქართველოს მასშტაბით დამაჯერებელ გამარჯვებას მოვიპოვებთ“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ **კახა კუჭავამ** მთაწმინდაზე „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატის დასახელების ცერემონიალზე.

„საარჩევნო რეფორმა მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კიდევ მაღალი სტანდარტებით ჩატარდება. არჩევნებზე დამკვირვებლებად მოწვეულნი არიან საერთაშორისო ორგანიზაციების, დელეგაციების და მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ამაში თავად დარწმუნდებიან. რაც შეეხება თბილისს – ყველა ხედავს, რომ ბოლო წლების განმავლობაში, თბილისი თანდათან ხდება თანამედროვე, ევროპული ქალაქი, სადაც სხვადასხვა პროექტის განხორციელების დროს დიდი ყურადღება ენიჭება გარემოს, გარემოსდაცვით სტანდარტებს, გამწვანებას. ასევე, იქმნება ახალი რეკრეაციული ზონები, რაც ცხადია, ყველა თაობის წარმომადგენლისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა მე გამოვყოფდი ჩვენს ბავშვებს, ჩვენს მომავალ თაობას. გარდა იმისა, რომ ვხედავთ წარმატებებს, ასევე არასდროს გვიჭირს, თვალი გავუსწოროთ გამოწვევებს, რომელიც არსებობს როგორც დედაქალაქის, ასევე მთელი ქვეყნის წინაშე და ამ გამოწვევების დასაძლევად ყველამ ერთად, რა თქმა უნდა, კიდევ ძალიან ბევრი უნდა ვიშრომოთ, ამ გამოწვევების დასაძლევად მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ ერთადერთი სწორი არჩევანია. მე ხშირად ვამბობ და გავიმეორებ, რომ ჩვენ, ყველას, გვაქვს ერთი სამშობლო, რომლის ისტორიული არჩევანი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა. ეს არის მიზანი, რომელსაც აუცილებლად მივაღწევთ. მინდა, დასასრულს, წარმატება და გამარჯვება ვუსურვო ჩვენს კანდიდატს, რაშიც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ“, – განაცხადა **კახა კუჭავამ**.

პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა კახა კალაძის** წარმატებებზე ისაუბრა.

„კახა კალაძე იყო და იქნება ავანგარდში. იგი არის პარტიის დამფუძნებელი. კახა კალაძეს სპორტში თუ სხვადასხვა თანამდებობაზე ყოფნისას წარმატება და მნიშვნელოვანი პროგრესი ჰქონდა. მისი წარმატებები კი უკავშირდება მუხლჩაუხრელ შრომას. მან საკუთარი საქმით დაამტკიცა, რომ წარმატებული დედაქალაქის მერია. კალაძემ წარადგინა შემდგომი ხედვა, რომელიც ეხება ტრანსპორტს, გამწვანებასა და სხვა პროექტებს, რომელიც დედაქალაქის სამომავლო განვითარებისთვის შეიქმნა“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა **კახა კალაძის** წარდგენისას.

ამასთან, ღარიბაშვილმა დასძინა, რომ „ქართული ოცნება“ ერთადერთი უალტერნატივო პოლიტიკური ძალაა, რომელსაც მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის მოტანა შეუძლია.

„დღეს ისევ ვდგავარ აქ, როგორც თბილისის მერობის კანდიდატი და ზუსტად ვიცი, რა შემძინა ამ ოთხწლიანმა გამოცდილებამ. ზუსტად ვიცი, რა სჭირდება მთაწმინდას, საბურთალოს, კრწანისს, ვაკეს, გლდანს, ნაძალადევს, ისანს, სამგორს, დიდუბესა და ჩუღურეთს. ვიცი თბილისის თითოეული უბნის საჭიროება, კონკრეტული ადამიანების პრობლემები“, – განაცხადა **კახა კალაძემ** მთაწმინდაზე მისი წარდგენის დროს.

„ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატის თქმით, მან ზუსტად იცის, რა ძალა აქვს თბილისელების მხარდაჭერას ახალი პროექტების განხორციელების დროს და აღნიშნა, რომ მის უკან ძლიერი გუნდი დგას.

მმართველი გუნდის წევრები კახა კალაძეს უკონკურენტად მიიჩნევენ. როგორც უმრავლესობის წევრმა **დავით მათიკაშვილმა** განაცხადა, კახა კალაძე აუცილებლად გაიმარჯვებს და მერის პოსტს მეორედ ღირსეულად დაიკავებს.

„თვითმმართველობის არჩევნებისთვის **მზადება დაიწყო. დღეს უკვე თბილისის მერის კანდიდატი წარვადგინეთ. ჩვენ, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა არჩევნების დროს, საზოგადოების წინაშე ძლიერი, ერთიანი გუნდით წარვდგებით. ყველა კანდიდატი, ვინც წარდგენილი გვეყოლება, მაღალი კვალიფიკაციის მქონე იქნება, რადგან არჩევნებზე გამარჯვება იქნეს მიღწეული. რაც შეეხება თბილისის მერობის კანდიდატს, ის იქნება უკონკურენტო. ამ შემთხვევაში თბილისში გამარჯვება „ქართული ოცნების“ მხარეს იქნება“,** – გვითხრა **დავით მათიკაშვილმა**.

მმართველი გუნდის კიდევ ერთი წევრის **ირაკლი ძადაგიშვილის** განცხადებით, კახა კალაძის კანდიდატად წარდგენა „ქართულმა ოცნებამ“ იმიტომ გადაწყვიტა, რომ ის დედაქალაქის წარმატებული მერია.

„კახამ ძალიან ბევრი, მნიშვნელოვანი და ამავდროულად საიმიჯო პროექტი განახორციელა თბილისისთვის, რომელსაც შემდგომი განვითარება სჭირდება – დაწყებული სატრანსპორტო პოლიტიკით, დამთავრებული ქალაქის გამწვანებით. ეს კალაძის მუშაობის შედეგიდან გამომდინარე არის, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან ის ისევ დასახელდა. რაც შეეხება ოპოზიციის კანდიდატი რამდენად გაუწევს კალაძეს კონკურენციას, ვფიქრობ, ეს კითხვა პირიქით უნდა დაისვას – ოპოზიციიდან არსებობს ისეთი კანდიდატი, რომელიც კახა კალაძის კონკურენტად შეიძლება განვიხილოთ?! – მე ასეთ კანდიდატს ვერ ვხედავ“, – გვითხრა **ირაკლი ძადაგიძემ**.

ექსპერტი **ვახტანგ ძაბირაძე** აღნიშნავს, რომ კალაძე ამ პოსტისთვის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული კანდიდატია.

„ამ პოსტზე თუ ვინმეს წარდგენა შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, კალაძე უნდა ყოფილიყო. რატომ უნდა ეძებნათ ახალი კანდიდატი, თუკი არსებობს რეიტინგული კანდიდატი, რომელსაც მოგების ძალიან დიდი შანსი აქვს“, – გვითხრა **ვახტანგ ძაბირაძემ**.

მისივე თქმით, თუ ოპოზიცია ჩამოყალიბებას შეძლებს და ერთ კანდიდატზე შეჯერდება, მაშინ ის კალაძისთვის სერიოზული კონკურენტი იქნება.

„მაგრამ ეს თეორიული ვარიანტია. რეალურად, ძალიან მეეჭვება, რომ ოპოზიცია ერთ კანდიდატზე ჩამოყალიბდეს. აქ უბრალოდ ლაპარაკი იქნება იმაზე, გამარჯვება პირველ ტურში იქნება, თუ კალაძეს გამარჯვებისთვის მეორე ტური დასჭირდება“, – განაცხადა ექსპერტმა.

თვითმმართველობის არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება.

ქეთი გიორგაძე

მატყუარა ჟურნალისტები ტერორს აგრძელებენ!

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ განცხადება არის სამარცხვინო ცილისწამება და ფაქტების დამახინჯება!

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ განცხადებას, რომლის მიხედვით, თითქოს, თბილისის მერმა კახა კალაძემ 20 ივლისის გამოსვლაში მედიის საქმიანობა 5 ივლისის ძალადობრივ ქმედებებს შეადარა.

„გვსურს, გამოვეხმაუროთ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ განცხადებას, რომლის მიხედვით, თითქოს, თბილისის მერმა კახა კალაძემ 20 ივლისის გამოსვლაში, მედიის საქმიანობა 5 ივლისის ძალადობრივ ქმედებებს შეადარა. აღნიშნული განცხადება არის სამარცხვინო ცილისწამება და ფაქტების დამახინჯება. განვმარტავთ, რომ 20 ივლისის გამოსვლაში კახა კალაძემ ისაუბრა ძალადობის ფორმებზე და აღნიშნა, რომ ფიზიკურ ძალადობაზე „არანაკლები ბოროტებაა ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ჩვენ საზოგადოებაში“.

აქვე, კახა კალაძის თქმით, ეს საზოგადოებრივი პრობლემა აისახება ტელეეთერებშიც. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ „ხშირად ვისმენთ სხვადასხვა ტელეეთერიდან ადამიანების დამცირებას, ცილისწამებას, მათ ბულინგს მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური თუ სხვა ნიშნის გამო“. ერთმნიშვნელოვანია, რომ ქარტიის განცხადება ემსახურება საზოგადოების დეზინფორმირებას და წარმოადგენს ცილისწამებას. აქვე აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ამავე განცხადებაში გამოთქმულია შეშფოთება მედიის მიმართ პოლიტიკოსების აგრესიული რიტორიკისა და დამოკიდებულების გამო. მოვითხოვთ განმარტებას, რის საფუძველზე ამოიკითხა ორგანიზაციამ აგრესიული რიტორიკა კახა კალაძის მიერ 20 ივლისს გაკეთებულ განცხადებაში? ციტატა გამოსვლიდან: „როდესაც ხვალინდელ თბილისზე ვსაუბრობთ, ჩემი, თქვენი და ყველას სურვილი უნდა იყოს ერთი - დავამარცხოთ სიძულვილი და ერთმანეთის მტრობა“.

იქიდან გამომდინარე, რომ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მხრიდან გამოთქმული არცერთი ბრალდება არ დასტურდება ფაქტებით, მოვუწოდებთ ქარტიას, გააკეთოს განმარტება დაუსაბუთებელ ბრალდებებზე. ასევე, ვურჩევთ, გაითვალისწინონ წინასაარჩევნო გარემო და სიფრთხილით მოეკიდონ ნებისმიერ კანდიდატთან დაკავშირებით გამოთქმულ შეფასებებს, ვინაიდან ყოველი მცდარი და საზოგადოების შეცდომაში შემყვანი განცხადება მხოლოდ და მხოლოდ აზარალებს დემოკრატიულ პროცესებს. მსგავსი დაუსაბუთებელი ბრალდება უარყოფითად აისახება არამარტო საარჩევნო პროცესზე, არამედ ხელს უწყობს საზოგადოების პოლარიზებას და შუღლის დათესვას“, – ნათქვამია განცხადებაში.

დედაკალაქის საუკეთესო მერი გვირჩევს...

დავამარცხოთ სიძულვილი და ერთმანეთის მტრობა!

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო, მივესალმები პარტიის თავმჯდომარეს და მადლობა თბილი სიტყვებისთვის, მივესალმები პრემიერს-მინისტრს, მივესალმები პარლამენტის თავმჯდომარეს, მივესალმები პარლამენტისა და მთავრობის წევრებს, დედაქალაქის მთავრობისა და საკრებულოს წევრებს, მივესალმები ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წევრებს.

მინდა, ასევე მოგესალმოთ მედიის წარმომადგენლებს და მოგმართოთ, როგორც მერობის კანდიდატმა, როგორც მოქმედმა მერმა, მმართველი გუნდის წევრმა, როგორც მოქალაქე კახა კალაძემ და კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი პოზიცია იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ქალაქში განვითარდა 5 ივლისს.

რასაკვირველია, ძალადობა და სიძულვილი კლავს ჩვენს ძვეყანას, მის მომავალს და ყველა ის ადამიანი, ვინც 5 ივლისს გიმეტებდათ თქვენ, გირტყამდათ, ძალადობდა, აზიანებდა ქვეყნის განვითარებას და ჩვენს ხვალინდელ დღეს.

ეს დასჯადი ქმედებაა და ეს ყველაფერი სამარცხვინოა!

არანაკლები ბოროტებაა ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც, სამწუხაროდ, მთელი წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენს საზოგადოებაში. ხშირად ვისმენთ სხვადასხვა ტელეეთერიდან ადამიანების დამცირებას, ცილისწამებას, მათ გულინგს მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური თუ სხვა ნიშნის გამო.

ამიტომ, როდესაც ხვალინდელ თბილისზე ვსაუბრობთ, ჩემი, თქვენი და ყველას სურვილი უნდა იყოს ერთი – დავამარცხოთ სიძულვილი და ერთმანეთის მტრობა.

ჩემო მეგობრებო, შეამჩნევდით, რომ პირველ რიგში ერთი სკამი ცარიელია, გამორჩეული თბილისელის, ყველასათვის საყვარელი კახი კავსაძის ხსოვნის პატივსაცემად, რომელიც ყოველთვის ესწრებოდა ჩემს ღონისძიებებს. განსაკუთრებით მივესალმები ჩემს თბილისელებს! მადლობას მოგახსენებთ ყველას თანადგომისთვის, ნდობისთვის, თანამშრომლობისთვის, თითოეული კეთილი სიტყვისთვის და ჯანსაღი კრიტიკისთვის.

საზოგადოება სწორად გამიგებს, თუ ჩემი გამოსვლის მთავარი ადრესატი იქნება დედაქალაქის მოსახლეობა.

თბილისელები ამ ოთხი წლის მანძილზე იყვნენ ჩემ გვერდით, ხალხი იყო ჩემი მრჩეველი, თანამშრომელი, გულშემატკივარი და თანამებრძოლი. მსურს, თანაქალაქელებს გულწრფელად გადმოგცეთ ის ემოცია და განწყობა, რაც ეს წლებია ვატარე.

პოლიტიკაში მოსვლის წუთიდან, უფრო ზუსტად, პოლიტიკით დაინტერესების წუთიდან, ჯერ კიდევ ჩემი პირველი, სპორტული კარიერის დროს, ვგეგმავდი, როგორ ჩავდგებოდი ქვეყნის, ხალხის სამსახურში, რაღაც სიახლეს შემოვიტანდი არსებულ პოლიტიკურ რუტინაში, ამიტომ, როცა ბიძინა ივანიშვილმა შემომთავაზა, მისი გუნდის წევრი გავმხდარიყავი, ჩამოვედი და შევუერთდი „ქართულ ოცნებას“.

მადლობა 2012 წლის გამარჯვების ყველა შემოქმედს – პოლიტიკოსს თუ მოქალაქეს, ვისთან ერთადაც მომიწია ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტში ფეხი შემომედგა პოლიტიკურ ველზე და გადამწყვეტ პროცესებში უშუალო მონაწილეობა მიმეღო.

მე ვიყავი ერთ-ერთი თქვენგანი, ვინც დადგა იქ, სადაც სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას. ჩავდექით ხალხის სამსახურში და თქვენ მხარდამხარ დაიწყო ჩემი პოლიტიკური კარიერა. აქვე მინდა მივმართო ჩემს პოლიტიკურ ოპონენტებს – თქვენც მიგიძღვით წვლილი ჩემი პოლიტიკური კარიერის ფორმირებაში – არამარტო ჯანსაღმა, არამედ არასამართლიანმა კრიტიკამაც ბევრი რამ მასწავლა, როგორც პოლიტიკოსს.

რატომ ვიხსენებ განვლილ წლებს და გიყვებით ამ ყველაფერს? – რამდენიმე წლის წინ თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო ჩემს პოლიტიკურ კარიერაში, როცა გუნდმა შემომთავაზა ქალაქის მერად მეყარა კენჭი.

ძალიან ვნერვიულობდი – მქონდა გრანდიოზული სამეურნეო გეგმები და პოლიტიკური ამბიციებიც. აგრეთვე, დიდი ვალდებულების გრძნობა თბილისელების, პრინციპში, მთელი ქვეყნის წინაშე. სულ სხვა გამოწვევა იყო მინისტრის პოზიციის მერე, სულ სხვა სირთულე და დიაპაზონი. თბილისი ხომ უდიდესი გამოცდაა და ამავდროულად უდიდესი გამოცდილებაც...

ჩემი სანუკვარი ოცნება ალბათ ბევრმა იცის, არაერთხელ მითქვამს და მისაუბრია ამაზე: როგორც ქართულ ფეხბურთში დავტოვე რაღაც ჩემი კვალი, ასევე მინდა ქართულ პოლიტიკაშიც შევიტანო ჩემი წვლილი ქვეყნის, ჩვენი შვილების და მათი შვილების საკეთილდღეოდ. არცერთი წუთით არ შევჩერდები, მუშაობით და თავდაუზოგავი შრომით განვაგრძობ ამ მიზნისკენ სწრაფვას.

გიყვარდეს ქალაქი და ქვეყანა, რომელსაც მთელი შენი ცხოვრება, შენი მოგონებები, შენი და შენი ოჯახის მომავალი უკავშირდება – რა თქმა უნდა, ბუნებრივი და მარტივია, მაგრამ, როდესაც ამ ათასწლოვანი ისტორიის მქონე ქალაქში მცხოვრები ადამიანები შენ განდობენ თბილისის აწმყოსა და მომავალს, ეს უკვე სხვა პასუხისმგებლობა და სხვა ისტორიაა.

ჩვენ დიდი ამბიციით მოვედით ქალაქის სათავეში. გადაწყვეტილი გვქონდა, ათწლეულების მანძილზე დაგროვებული პრობლემები მოგვეგვარებინა და ქალაქი განვითარების გზაზე დაგვეყენებინა. გვინდოდა, ახალი სიცოცხლე შემოგვეტანა თბილისში. დავგეგმეთ და დავიწყეთ დიდი რეფორმები – მტკივნეული, არაპოპულისტური, მაგრამ შორსმიმავალი და პერსპექტიული – მომავლის თბილისზე გათვლილი.

იმის შეგრძნება, რომ თითქმის 30-წლიანი ქაოსის მერე, ცდილობ გარკვეულ სისტემაში მოაქციო სხვადასხვა სექტორი დედაქალაქში, შეუთავსო ერთმანეთს, განავითარო და სწორ გზაზე დააყენო, ყველაზე დიდი სიამოვნება და დადებითი მუხტია ჩემთვის.

როცა პოლიტიკის კეთებასთან ერთად გიწევს ყოველდღიური საქმის კეთება, რომელიც ხედავ, როგორ წაადგებათ ადამიანებს, როგორ მოიხმარენ შენი შრომის შედეგებს, როგორ ვითარდება და ხორცს ისხამს შენი ჩანაფიქრი – ეს საოცრებაა. ეს არის ყველაზე დიდი სიამოვნება, რაც კი შეიძლება ინატროს დედაქალაქის მერმა.

ჩემო მეგობრებო, ასე შეიქმნა სიცოცხლით სავსე ქალაქის კონცეფცია, რომელიც თბილისისთვის მნიშვნელოვან ყველა მიმართულებას მოიცავდა და ყველა მიმართულებით ახალი, არსებითი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას გვაძლევდა. ამ პროგრამით ჩვენ შევძელით ქაოტური განაშენიანების შეჩერება, მივიღეთ თბილისის განვითარების გენერალური გეგმა, აღვკვეთეთ კოეფიციენტების გაყიდვის მავნე პრაქტიკა, რომელიც ამახინჯებდა ჩვენს ქალაქს და შეუძლებელს ხდიდა მთელ რიგ უბნებში გადაადგილებას. ამავდროულად, ჩვენ პრაქტიკულად, სრულად განვაახლეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, დავაწესეთ ინფრასტრუქტურის განახლების ახალი სტანდარტი, შევქმენით ახალი გარემოსდაცვითი სტანდარტი, გავაშენეთ ახალი სკვერები და პარკები, ქალაქის მასშტაბით ავაშენეთ ახალი საბავშვო ბაღები და გავაკეთეთ ბევრი ისეთი საქმე, რაც თავიდან თითქოს წარმოუდგენელიც კი გვეგონა.

დღეს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თბილისი არის უფრო მწვანე, უფრო ლამაზი, უფრო ჯანსაღი და თანამედროვე ქალაქი, ვიდრე იყო ოთხი წლის წინ და ეს, ჩვენ ყველამ ერთად შევძელით!

ცხადია, თბილისს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გამოწვევა აქვს დასაძლევი, ძალიან ბევრ ადამიანს, ძალიან ბევრ ოჯახს უჭირს ჩვენს ქალაქში და თვითკმაყოფილი ნამდვილად ვერასდროს ვიქნები, სანამ სოციალური ფონი არსებითად არ გაუმჯობესდება და სანამ თუნდაც ერთ ადამიანს დასჭირდება ჩვენი და პირადად ჩემი დახმარება.

მადლიერი ვარ ჩემი გუნდის, მეორე ვადით მერობის კანდიდატად ჩემი წარდგენით, თქვენ მომეცით ერთი მხრივ, საშუალება დაწყებული რეფორმები თავად გავაგრძელო და მეორე მხრივ – ამ ძირითად მიმართულებას – სიცოცხლით სავსე ქალაქს მოვარგოთ ახალი პროექტი – სიცოცხლით გავავსოთ თითოეული თბილისური უბანი თუ ეზო. თბილისის თითოეულმა მოქალაქემ უნდა იგრძნოს ერთი მხრივ, ჩართულობა პროცესში, მეორე მხრივ, ზრუნვა მასზე – ყოველდღიური და თვალსაჩინო. ჩვენ შევიტანთ სიცოცხლეს ყველა რაიონში, გავშლით მთლიან ფრონტის ხაზს თბილისელების კეთილდღეობისთვის.

მაშინ, როცა განახლება უკვე დაწყებულია, ამჯერად ჩვენი ყოველდღიური მუშაობის შედეგი ბევრად უფრო მოცულობითი, ბევრად უფრო ხელშესახები გახდება თითოეული თბილისელისთვის. ამიტომ, ჩვენი ამოცანაა, ყველა ის სიკეთე, რომელიც ამ წლების მანძილზე შეიქმნა ქალაქის მასშტაბით, მივიტანოთ თითოეულ უბანში, თითოეულ მოქალაქესთან და თბილისის ყველა უბანი გავხადოთ კიდევ უფრო მწვანე, კიდევ უფრო ლამაზი და სიცოცხლით სავსე.

სიცოცხლის სიყვარული ჩვენი ქალაქის თვისებაა, ამიტომ, სიცოცხლე მუდმივად უნდა ჩქეფდეს ჩვენი ქალაქის ყველა უბანში.

ჩვენ მრავალფეროვნებით განთქმული ჩვენი ქალაქის ყველა ფერს კიდევ უფრო გამოვკვეთთ, მის ყველა კულტურულ ხაზს და კვალს გამოვიყენებთ, როგორც ჩვენს დიდ უპირატესობას, რადგან ეს ქალაქი ეკუთვნის მის ყველა მცხოვრებს, რადგან თბილისი ყველას აერთიანებს, აერთიანებს ქართველებს და ებრაელებს, ქურთებს, იეზიდებსა და ბერძნებს, აზერბაიჯანელებს და სომხებს, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს და სწორედ ამ მრავალხმოვან კულტურაშია მისი ძალა, რომელიც ქმნის უნიკალურ თბილისურ სულს და ყველას ნუსხავს.

დღეს ისევ ვდგავარ აქ, როგორც თბილისის მერობის კანდიდატი და ზუსტად ვიცი, რა შემძინა ამ 4-წლიანმა გამოცდილებამ. ზუსტად ვიცი, რა სჭირდება მთაწმინდას, საბურთალოს, კრწანისს, ვაკეს, გლდანს, ნაძალადევს, ისანს, სამგორს, დიდუბესა და ჩუღურეთს. ვიცი თბილისის თითოეული უბნის საჭიროება, კონკრეტული ადამიანების პრობლემები.

და რაც მთავარია, დღეს ზუსტად ვიცი, რა ძალა აქვს თბილისელების მხარდაჭერას ყოველი წამოწყების, ახალი პროექტების განხორციელების დროს. რამხელა სტიმულია, როცა გულწრფელად გიზიარებენ დარდსაც და სიხარულსაც, გენდობიან და სჯერათ შენი.

მე ვარ კახა კალაძე, ადამიანი, რომლის წარმატების უკან ყოველთვის იდგა ძლიერი გუნდი. ამ წინასაარჩევნო მარათონში, რასაკვირველია, ჩემი სახელი და გვარი გაიჟღერებს, მაგრამ მინდა, იცოდეთ, რომ კახა კალაძის უკან დგას პროფესიონალების დიდი გუნდი.

ეს არის ჩვენი პოლიტიკური გუნდი, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში ზურგს უმაგრებდა თითოეულ ჩემს წამოწყებას. ეს არის ასევე თბილისის მერიის გუნდი – ჩემი მოადგილეები, სამსახურების ხელმძღვანელები, გამგებლები, საკრებულოს წევრები, ათასობით გულანთებული თანამშრომელი.

ეს ადამიანები ხშირად არ ჩანან, მაგრამ ჩანს მათი გაკეთებული საქმეები. დღეს ჩვენთან ერთად არიან მეტროს მემანქანე, ავტობუსის მძღოლი, მეეზოვე, მებაღე, მუნიციპალური ინსპექციის, მერიის თანამშრომლები, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ თბილისზე და თბილისელებზე. მადლობა მათ თბილისის სიყვარულისთვის და თავდაუზოგავი შრომისთვის.

ასევე, მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს ოჯახს, ჩემს მეუღლეს – ანუკას, ჩემს შვილებს, რადგან მათი მხარდაჭერა ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია.

დაბოლოს, მინდა გამარჯვება ვუსურვო თბილისს, ქალაქს, რომელიც ახლა აქედან თითქოს ხელისგულივით მოჩანს და ის მაინც თავიდან დასანახი და აღმოსაჩენია.

ჩვენ ერთნი ვართ. მე და თქვენ. და აუცილებლად გავიმარჯვებთ. თბილისი კვლავ გაიმარჯვებს!

ტელეზონდერებმა პლენარულ სხდომაზე ბანერი კვლავ გადმოფინეს – „დასაჯეთ მოძალადეები“

მედიის წარმომადგენლებმა პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე ბანერი „დასაჯეთ მოძალადეები“ გადმოფინეს.

ჟურნალისტებმა ამით 5 ივლისს თბილისში განვითარებული ფაქტები დაგმეს და კიდევ ერთხელ მოითხოვეს მათზე მოძალადე პირების დასჯა. მათი თქმით, უნდა დაისაჯონ ასევე ორგანიზატორებიც. მედიის წარმომადგენლებმა პარლამენტის სხდომათა დარბაზში ასევე მათი გარდაცვლილი კოლეგის, ოპერატორ ლექსო ლაშქარავას ფოტოები მიიტანეს.

დავით გურგენიძე: პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – ისტორია, რომლის შექმნაც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა განაპირობა

დადგა დრო, შევაფასოთ განვლილი გზა, რომელიც საქართველოში საინჟინრო სკოლის შექმნას, განვითარებასა და მიღწევებს უკავშირდება. ამ მხრივ, გადაუჭარბებლად შეიძლება თქმა, რომ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა იტვირთა ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, მეტალურგიის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სამთო, გეოლოგიური, ქიმიური, გამოთვლითი ტექნიკის დარგების საკადრო, სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარება და მიღწევები.

უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მოლოდინში სისტემური ანალიზი უკეთდება იმას, რაც შევძელით ან ვერ შევძელით და მივდივართ დასკვნამდე, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოღვაწეობამ, რომელიც საბჭოთა იმპერიის და შემდგომი პერიოდის რთულ ეტაპებს მოიცავს, ძირითადად განაპირობა საქართველოს ინდუსტრიალიზაცია. ეს იყო სწავლის, სამეცნიერო და შრომის პროცესი, რომელმაც მრავალი წარმატებული ისტორია მოიცვა.

ეს პუბლიკაციაც სწორედ ქართველი ინჟინრების მოღვაწეობის ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს ეხება, რომელმაც განაპირობა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა და საფუძველი ჩაუყარა რეფლექტორის კოსმოსში გაშვების ისტორიას.

ელგუჯა მეძმარიაშვილმა პირველი სამეცნიერო შრომა სტუდენტობის წლებში გამოაქვეყნა, რომელიც სივრცით კონსტრუქციებს ეხებოდა. აღრეულ პერიოდში ის, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევარი, ერთობლივ სამუშაოებს ატარებდა თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან, კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიასთან და გენშტაბის აკადემიასთან, სადაც მისი ავტორობით მუშავდებოდა დიდი ზომის, სწრაფად ასაგები, გასაშლელი სამხედრო ხიდები.

მილიტარისტული იმპერიის – საბჭოთა კავშირის, სამხედრო სამრეწველო დარგის ხელმძღვანელობა დაინტერესდა ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებით და მისი სამუშაოების მიხედვით, მას დაავალეს შეემუშავებინა „სრულიად საიდუმლო“ პროგრამა – „სამხედრო ტექნიკის პერსპექტიული მიმართულებები და მათი რეალიზაციის ფორმები“.

პროგრამა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მის პრაქტიკულ რეალიზაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო კომისიის თავმჯდომარეებმა წერილობით მიმართეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რაზეც მიიღეს კიდეც თანხმობა.

მაშინ ეს ფაქტი საქართველოსთვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო, რასაც შედეგად მოჰყვა: საქართველოში კოსმოსური დიდგაბარიტიანი ნაგებობების შექმნა, რომელთაც ანალოგი არ გააჩნდა მსოფლიოში; არაგვის ველზე, კოსმოსური ნაგებობების შექმნისა და გამოცდების უნიკალური სასტენდო კომპლექსის აგება; ბორჯომის რაიონის მთიან ზონაში ექსტრემალური მიწისზედა ნაგებობების პოლიგონის გამართვა; ბალისტიკური რაკეტების სტარტის და გადაადგილების ფიქსაციის კოსმოსური კომპლექსის საბაზო 30-მეტრიანი რეფლექტორული ანტენის შექმნა; მიწისზედა, რაკეტსაწინააღმდეგო, რადიოტექნიკური კომპლექსის შექმნა და სხვა მრავალი კოსმოსური და მიწისზედა პროგრამების რეალიზება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტმა, რომელსაც გააჩნდა პოტენციალი, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა და საქართველოში არსებული საწარმოო შესაძლებლობები „თბილავიამშენის“ სახით, სამუშაოები გააგრძელა ისეთ ცნობილ ორგანიზაციებთან, როგორიცაა: Daimler-Benc-Aerospace – გერმანია), Alenia Aerospazio (იტალია), энергия (რუსეთი), Magna (ავსტრია), HTS (შვეიცარია), Sener (ესპანეთი), მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი (MTU) და ევროპული კოსმოსური სააგენტო (ESA).

სამეცნიერო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებში ჩართული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თითქმის ყველა ფაკულტეტი და მრავალი კათედრა. ეს იყო საინჟინრო აზრისა და ქმედების შესანიშნავი გამოვლენა, რამაც დიდი და ისტორიული შედეგი გამოიღო არა მხოლოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის – ორბიტაზე გავიდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – გასაშლელი რეფლექტორი, მაქსიმალური გაბარიტით 6,42 მეტრი, რომლის გენერალური კონსტრუქტორია აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მეძმარიაშვილი, შეიქმნა - დაპროექტდა, დამზადდა და წინასაფრენოსნოდ გამოიცადა საქართველოში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ.

ამ ისტორიული ფაქტის ტექნიკური დეტალები კი ასეთია: კოსმოსური ობიექტის შექმნის პრინციპები შემუშავდა, ექსპერიმენტული კვლევები ჩატარდა, აწყობის ტექნოლოგიური ციკლი განისაზღვრა და გამოიცადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის მცხეთის სასტენდო კომპლექსში, რომელიც არაგვის ველზე, სოფელ საგურამოსთან მდებარეობს და რომელსაც მე-20 საუკუნის 80–90-იან წლებში ანალოგი არ გააჩნდა მსოფლიოში; კოსმოსური ობიექტის პროექტი დამუშავდა საქართველოში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის მიერ; კოსმოსური ობიექტის ორი – საფრენოსნო და სარეზერვო ეგზემპლარი დამზადდა თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში, სადაც ასევე ჩატარდა მათი საქარხნო გამოცდები; ობიექტის საფრენოსნო ეგზემპლარი, დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის სახით, მომზადდა და გაიგზავნა „ბაიკონურის“ კოსმოდრომზე, სადაც ის კოსმოსურ ხომალდში განათავსეს; კოსმოსური ობიექტის სარეზერვო ეგზემპლარის სასტენდო, წინასაფრენოსნო გამოცდები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოსური ტექნიკის სასტენდო დარბაზში ჩატარდა.

1999 წლის 16 ივლისს რაკეტა მატარებელმა, კოსმოსური ხომალდის – „პროგრეს-42“ ორბიტაზე გასაყვანად, რომელშიც განთავსებული იყო რეფლექტორის დაკეცილი, სატრანსპორტო პაკეტი, კოსმოდრომ „ბაიკონურიდან“ სტარტი განახორციელა.

1999 წლის 18 ივლისს კოსმოსური ხომალდი ორბიტულ სადგურს შეუპირისპირდა.

1999 წლის 19 ივლისს კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორის დაკეცილი პაკეტი, დიამეტრით 0,6 მეტრი, სიმაღლით 1,2 მეტრი და მასით 34 კგ, კოსმონავტებმა კოსმოსური ხომალდიდან გადაიტანეს, მსოფლიოში იმ დროს არსებულ ერთადერთ, ორბიტულ სადგურ „მირ“-ზე.

კოსმოსური ობიექტის პროექტირება, კონსტრუქციული მასალებით და აპარატურით კომპლექტაცია, დამზადება, სასტენდო გამოცდები და კოსმოსში გაგზავნის მომზადება, ფინანსებით და ორგანიზაციულად უზრუნველყო საქართველოში რეგისტრირებულმა საერთაშორისო კომპანიამ, „საქართველოს პოლიტექნიკურმა ინტელექტმა“ (GPI), რომლის პრეზიდენტი გახლდათ გერმანიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი **გრიგორი კინტერაია.**

კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანა და ღია კოსმოსურ სივრცეში, ორბიტულ სადგურ „მირ“-ზე მისი გამოცდები, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ორგანიზაციულად, ფინანსებით, რაკეტა-მატარებლით, კოსმოსური ხომალდით, ექსპერიმენტისთვის აუცილებელი ტექნიკით და სპეციალური ფოტო და ვიდეოაპარატურით უზრუნველყვეს: საერთაშორისო კომპანია „საქართველოს პოლიტექნიკურმა ინტელექტმა“, თბილისში რეგისტრირებულმა ქართულ-რუსულმა კომპანიამ ENERGIA-GPI-SPACE-მა, სერგეი კოროლიოვის სახელობის სარაკეტო კოს-

მოსურმა კორპორაციამ ENERGIA-მ, ბაიკონურის კოსმოდრომმა და კოსმონავტების რუსულ-ფრანგულმა ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანიდან 20 წლის შემდეგაც, ჯერჯერობით, ევროპულ კოსმოსურ სააგენტოში (ESA) გაერთიანებული სახელმწიფოებისთვის მიუღწეველია კოსმოსში გაყვანა და წარმატებული გაშლა დიდგაბარიტიანი კოსმოსური რეფლექტორისა, რომლის მაქსიმალური ზომა შეადგენს 6,42 მეტრს.

1999 წლის 23-28 ივლისს ღია კოსმოსურ სივრცეში, ორბიტულ სადგურზე, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, გაიშალა და გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.

გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორი, მიმაგრებული საყრდენ კონსტრუქციაზე

კოსმოსური პროგრამა „რეფლექტორის“ წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1999 წლის 28 ივლისს, რეფლექტორი ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დედამიწის ირგვლივ დამოუკიდებელ ორბიტაზე.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ყოველმხრივ მომსახურება და მათ შორის სრულმასშტაბიანი მექანიკური გამოცდები, კოსმოსური ექსპერიმენტის – „რეფლექტორის“ შესაბამისად, ორბიტულ სადგურზე უზრუნველყო ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: კოსმონავტები ვიქტორ აფანასიევი, სერგეი ავდეევი და ფრანგი ასტრონავტი, ბრიგადის გენერალი ჟან-პიერ ენიერე.

აღსანიშნავია, რომ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი კოსმონავტიკის განვითარების შესახებ საგზვარგარეთის ქრესტომათიულ გამოცემებში, სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურასა და ოფიციალურ დოკუმენტებში აღიარებულია პრიორიტეტული მიმართულების დასაწყისად კოსმოსურ ტექნოლოგიებში. შესაბამისად, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანის და წარმატებული გამოცდის თარიღი, ასევე, მისი განხორციელების ფაქტი შეტანილია კოსმოსის ათვისების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ქრონიკათა ჩამონათვალში.

გარდა ამისა, სახელმწიფო ჯილდოებით აღინიშნა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შემქმნელებისა და კოსმოსში ჩატარებული ექსპერიმენტის მონაწილეების ღვაწლი, გამოიცა საფოსტო მარკები, რომლებზეც გამოსახულია ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ორბიტულ სადგურზე და ღია კოსმოსურ სივრცეში ფრენის დროს და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოში 23 ივლისი დაწესდა „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ“.

მე-20 საუკუნის ბოლოს, საქართველოს მეტ-ნაკლებად გააჩნდა ყოველივე, რაც იმ დრომდე კაცობრიობამ შექმნა, გარდა კოსმოსური ობიექტისა. 1999 წლის 23 ივლისს საქართველოში ქართველების ცოდნით და შრომით შექმნილი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი წარმატებით გამოიცადა ღია კოსმოსურ სივრცეში, რის შემდეგაც დამოუკიდებელ ორბიტაზე დაიწყო ფრენა. ამ მოვლენამ საქართველოს ისტორიაში დროის ათვლის კიდევ ერთი საწყისი გააჩინა, როდესაც ქართული ხელთქმნილი ნაკეთობა პირველად გასცდა დედამიწას და უკიდეგანო კოსმოსში გავიდა.

დავით გურგენიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

კოსმოსში კადრები გადაღებულია კოსმონავტების ინტერნაციონალური ეკიპაჟის წევრის, ფრანგი ასტრონავტის ჟან-პიერ ენიერეს მიერ.

კონსტრუქცია „სოფორაზე“ მყოფმა კოსმონავტებმა რეფლექტორის დაკეცილ პაკეტს გარსაცმი მოაცილეს

წითელი საზღვრიც გადაკვეთილია, ყველაზე მძიმე 7 დღის განმავლობაში მაღალია სიკვდილიანობა

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის **ამირან გამყრელიძის** განცხადებით, ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარება სერიოზულად არის გაუარესებული. მისივე თქმით, ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკომენდაციების დაცვა. გამყრელიძემ საკითხზე საუბრისას ყურადღება გაამახვილა დახურულ სივრცეში პირბადის ტარების აუცილებლობაზე.

„საშიშროება სერიოზულია, ამიტომ ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ ეპიდსიტუაცია მძიმდება, ჩვენ შევდივართ სერიოზულ ტალღაში. დღევანდელი და გუშინდელი მონაცემები იმეორებს იმას, რაც მაისის პიკში, ასევე ნოემბრის დასაწყისში გვქონდა. უნდა დავიცვათ ყველა რეკომენდაცია, პირველ რიგში, ვატაროთ პირბადე დახურულ სივრცეებში. ასევე შემოდის რეგულაცია პირბადის ღია სივრცეებში ტარებაზე იქ, სადაც ვიკრიბებით“.

ამირან გამყრელიძემ საზოგადოებას დიდი თავყრილობისგან თავის არიდებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. ამასთან, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, პანდემიის დამარცხების გზაზე მთავარია ვაქცინაცია. გამყრელიძის თქმით, ქვეყანაში საკმარისი ვაქცინაა, ამიტომ მოქალაქეებმა ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ და აიცრან.

ამირან გამყრელიძემ ასევე აღნიშნა, საქართველოში ინდური შტამით – „დელტა შტამით“ ინფიცირებულია 30-40 პროცენტი და ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი ძალიან სწრაფად იზრდება.

„დელტა შტამით ინფიცირებულია 30-40% და ძალიან სწრაფად იზრდება“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

უცხოეთსა და საქართველოში მცხოვრები ექიმების საგანგებო მიმართვა

საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრები ექიმები და მეცნიერთა ჯგუფი, კოვიდ-19-ის პანდემიისა და მასთან ბრძოლის გზებზე საგანგებო მიმართვას ავრცელებენ.

მიმართვაში, რომელსაც 21 მედმუშაკი აწერს ხელს, აღნიშნულია, რომ პანდემიის დამარცხებას ცალ-ცალკე ვერ შეძლებს ვერცერთი ჯგუფი, მათ შორის – ვერც მთავრობა, ვერც ექიმები და ვერც მოსახლეობა და რომ პანდემიის დასასრულებლად აუცილებელია საერთო ძალისხმევა.

როგორც მედმუშაკები აღნიშნავენ, საქართველოში ვაქცინაციის ტემპი საგანგაშოდ დაბალია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს სიტუაციის სასწრაფოდ გამოსასწორებლად.

ექიმები გამოთქვამენ მზადყოფნას, ყველა შეკითხვას, რომელიც კი საზოგადოებაში ვაქცინაციასთან დაკავშირებით წარმოიქმნება, დეტალური და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გასცენ:

„ვაქცინა უსაფრთხოა და გვიცავს სიკვდილისა და დაავადების მძიმე ფორმებისგან, რაც დასტურდება მინიმუმამდე შემცირებული ჰოსპიტალიზაციის და ლეტალობის მაჩვენებელით, უკვე გაკეთებული 3.5 მილიარდი აცრის მონაცემებით.

ყველა ავტორიზებული ვაქცინა ამცირებს დაავადების სირთულეს და სიკვდილიანობას ყველა შტამის შემთხვევაში.

გამოიყენეთ ამჟამად ხელმისაწვდომი ნებისმიერი ვაქცინა, რომელსაც მიღებული აქვს ამერიკის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციის, ევროპის წამლის სააგენტოსა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ავტორიზაცია. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ ჩინური წარმოების კლასიკური ტექნოლოგიით დამზადებული ვაქცინის შემდეგ „ბუსტერად“ შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიით წარმოებული ვაქცინის გამოყენება.

აცრით ჩვენ ვიცავთ არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ჩვენ გარშემო მყოფ ადამიანებს, განსაკუთრებით, ბავშვებს და იმ პირებს, ვისაც ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია აცრა.

ნებისმიერი ინფორმაცია კოვიდ-19-ისა და მის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ, რომელიც არ ეფუძნება სანდო მეცნიერულ პუბლიკაციებს, არის დეზინფორმაცია.

რაც უფრო დაბალია ვაქცინაციის დონე, მით უფრო მაღალია ვირუსის მუტაციის ალბათობა და ახალი ვარიანტების და ტალღების წარმოქმნა, რაც ახლაც ხდება და მომავალშიც მოხდება, თუკი ვერ შევძლებთ ინფიცირების დონის დაქვეითებას“.

მიმართვას ხელს აწერენ:

– **სოფო ბერიძე,** ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი; – **ეკატერინე ბერიშვილი,** ჟენევის უნივერსიტეტი, შვეიცარია; – **რევაზ ბოჭორიშვილი,** კლერმონ-ფერანის საუნივერსიტეტო კლინიკა, საფრანგეთი; – **მაია ბუწაშვილი,** ნეოლაბი, თბილისი; – **მარინა გვახარია,** რეპროდუქციული კლინიკა, სანჰოზე, კალიფორნია; – **გიორგი (გოგი) გეგელაშვილი,** კოპენჰაგენის უნივერსიტეტი, დანია; – **ნანა გეგეჭკორი,** მაიმონიდის ჰოსპიტალი, ნიუ-იორკი, აშშ; – **ზურაბ გურული,** მონტგომერის სახელობის ფედერალური კლინიკა, მისისიპის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჯექსონი, მისისიპი, აშშ; – **ვახტანგ კალოიანი,** ნიუ ჰოსპიტალსი, თბილისი; – **გიორგი კამკამიძე,** ნეოლაბი, თბილისი; – **ზაზა კოკაია,** ლუნდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი, შვედეთი; – **ბიძინა კულუმბეგოვი,** ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი, თბილისი; – **არჩილ მარშანია,** STENA Ltd, აბერდინი, დიდი ბრიტანეთი; – **მამუკა მაჩაიძე,** ჯონს ჰოპკინსის ჰოსპიტალი, ბალტიმორი, აშშ; – **ნინო ნაცვალაძე,** შტუტგარტის კლინიკა, გერმანია; – **ზაზა უჯმაჯურიძე,** კოპენჰაგენის საუნივერსიტეტო კლინიკა, დანია; – **ანი ძავთარაძე,** წმ. იოანე მოწყალის სახელობის პრივატკლინიკა, თბილისი; – **ნატალია ძვარცხავა,** დუსელდორფის საუნივერსიტეტო კლინიკა, გერმანია; – **თამრიკო ძვარცხავა,** Global PV Source, მორისტაუნი, ნიუჯერსი, აშშ; – **ლიკა ჟყონია,** რეპროარტი, ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა, საქართველო; – **ცოტნე ჯავახიშვილი,** კალიფორნიის ბიოსამედიცინო კვლევების ინსტიტუტი, სან დიეგო, კალიფორნია, აშშ.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის განცხადებით, ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა გართულებულია და საქართველო კოვიდინფიცირების გაზრდილი მაჩვენებლის გამო უკვე „წითელ ზონაში“ იმყოფება.

გვეუხერხულა თუ „შეგვეშინდა“?

გარდაცვლილი დონალდ რამსფელდისადმი პატივისცემის ღირსეული (!!!) გამოხატვა

მისი გარდაცვალება რომ შევიტყვე, მეწყინა, რამეთუ მოწმე ვიყავი (არაერთგზის), თუ რა სითბოთი და მზრუნველობით გამოხატავდა იგი ჩემი ქვეყნისადმი, მისი ლიდერისადმი პატივისცემას.

მომეჩვენა, რომ საქართველოს სახელმწიფომ ამ სამწუხარო ფაქტს, ცოტა არ იყოს, წაუყრუა და ასეთი „გამოხატვა“ გამიკვირდა.

ჩემი ეჭვების გასაფანტავად ერთ ჩვენს მოქმედ მაღალჩინოსან დიპლომატს ისე, ყასიდად ვკითხე მიზეზი, მან კი გულუბრყვილო გულახდილობით მიპასუხა: შტატების ახალ მმართველ დემოკრატთა გუნდთან მამალი რესპუბლიკელი რამსფელდისადმი მადლიერების გამოხატვით არ გვინდოდა რაიმე უხერხულობა შეგვქმნოდაო.

მდაააა!!!!

ნუუუ, ეს ახლანდელი ქართველი ტალეირანები, თავიანთი ბრიყვული სიბრძნით ზოგჯერ მართლა შეშლიან ნორმალურ კაცს ჭკუიდან. და იმათ და იმათნაირებს, აქ თუ იქით მყოფთ, თქვენ წარმოიდგინეთ, სახელისუფლებო კაბინეტებში უსმენენ!!! უსმენენ კი არა, უჯერებენ კიდეც. და არცთუ იშვიათად.

ასეთ აზროვნებას და მასზე დაფუძნებულ პრაქტიკას დიპლომატური სიფრთხილე და სტრატეგიული გათვლა კი არ ჰქვია, არამედ... ვირეშმაკობა! დიახ, ვირეშმაკობა, ამოზრდილი უკულტურობიდან, უზნეობიდან და უმადურობიდან.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ქართული დიპლომატიის გოიმური თავკაცობა ასე „თამაშობს“.

ერთხელ უკვე ვწერდი ასეთ უსიამო ფაქტებზე, როცა კონგრესმენ-სენატორთაგან მავანმა ნამეტნავად გაახურა საქართველოს ხელისუფლების კრიტიკით, თითის ქნევით და თავხედური ჭკუის სწავლებით. მაშინაც, ზოგიერთებმა(!) საკუთარი სირაქლემობა აშშ მოახლოებული არჩევნებით გაამართლეს, ვაითუ კრიტიკოსი კანონმდებლები კვლავაც აირჩიონ კონგრეს-სენატშიო და... გადაყლაპეს თავად და ჩვენც გადაგვაყლაპეს შეურაცხყოფა. მანამდეც და მას შემდეგ, თითის ქნევის, ჭკუის სწავლების არაერთი მსგავსი ფაქტი განმეორებულა სხვა „არამკითხე მოამბის“ თუ ზოგიერთი „გასტროლიორის“ მხრიდან და...

მაგრამ ეს „უხერხულ“ ფაქტებთან დაკავშირებული ჩვენი ქცევა, ისევე, როგორც ისიც, რაზედაც ახლა გულისტკივილით ვწერ, უცხოელებს ყველაზე ნაკლებად ეხებათ. ძირითადად ჩვენი საფიქრალ-სატკივარია, თანაც განსახილველია სხვა სიბრტყეში, სადაც წინა პლანზეა ზნეობრივი კატეგორიები: ადამიანური ურთიერთობის პრინციპები, შინაგანი კულტურა, ტრადიციები, აღზრდა, წესიერება, კეთილშობილება, მადლიერება, უმადურობა..

სწორედ ამ რეალობაზე ფიქრისთვის განგაწყობს ის სტატია, რომელსაც მინდა, რომ გაეცნოთ.

ქართული ვარიანტი ჩვენეულია. ორიგინალი გამოაქვეყნა 6 ივლისს, Democracy&Freedom Watch-მა და, თურმე, იმავე დღეს გადაუბეჭდავს „რამსფელდის ფონდს“.

და ეს ფაქტი და დეტალები გუშინ მომწერა ჩემმა რუს-ამერიკელმა მეგობარმა და კოლეგამ, თანაც საკმაოდ თბილად მოიხსენია ჩვენი „ეროვნული კეთილშობილება“, თუ როგორ გვიყვარს ადამიანების დაფასება და მადლიერების გამოხატვა.

კიდევ კარგი, რომ საფუძვლიანად და ღრმად არ გვიცნობს, განსაკუთრებით პოლიტელიტას...

და თუ უკეთ გაგვიცნობს, ნამდვილად გაოცდება ახალი თაობის ე.წ. ელიტარული (და არა მარტო) კასტით, რომელიც, პრაქტიკულად, დამოუკიდებლობის წლებში გაიზარდა და ჩამოყალიბდა, თითქოს სილაღისა და თავისუფლების ატმოსფეროში.

გაოცდება იმით, რითაც ჩვენ ვართ გაკვირვებულნი: ეს ხომ ის ხალხია, თანამდებობრივად თუ სტატუსით გამორჩეულები, უცხოეთში რომ ეზიარა განათლებას, დაეუფლა ენებს და უახლეს ტექნოლოგიებს (მათ შორის, მაგალითად, პარლამენტში „მიმზიდველი“ სურნელის დაყენება, მაგიდაზე შეხტომა და წივილ-კივილი და სხვ.) , გაიარა უამრავი სემინარი და დაოსტატების კურსები... ჰოდა, ვერ ამოგვიხსნია „საიდუმლო“: სად და როდის, ვისი ხელმძღვანელობით და რუდუნებით შეისწავლეს და შეიძინეს ასეთი „დახვეწილი“ პრაგმატული უნარ-ჩვევები, მოურიდებლობა, თავხედობა, უზრდელობა, საჯარო უწმაწური რიტორიკა, დაუნდობლობა, სიძულვილი წარსულისადმი?..

სწორედ ამ ვითარების ნაყოფია, ის „ვირეშმაკობა“, რაზეც ზემოთ ვწერდი.

კიდევ კარგი, რომ საპირისპირო მაგალითებიც არის და, ღვთის წყალობით, მათგან განსხვავებულნიც არ არიან ცოტანი...

ამ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის ქვემოთ მოყვანილი პუბლიკაციის ავტორიც. თანამედროვე ქართული დიპლომატიის დამსახურებილი ვეტერანი და გამორჩეული ავტორიტეტი, შესანიშნავი პუბლიცისტი, მეცნიერი, ამერიკულ-ქართული ურთიერთობის ერთი უპირველესი მესაძირკვლე ბატონი თეიმურ ჯაფარიძე.

არასოდეს, არც ერთ(!!!) დროში არ დაგვიმალავს ჩვენი გულწრფელი, უღალატო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა, რომელიც ყოველთვის მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებისკენ.

ეს პუბლიკაციაც და მისი წარდგენისთვის დაწერილი ეს შესავალიც ამ მიზანს ემსახურება, რამეთუ ყველაზე სწორი პოლიტიკა არის პრინციპული პოლიტიკა, დაფუძნებული ქვეყნის ინტერესების დაცვაზე, ზნეობრიობასა და მოკავშირეებისადმი მადლიერების გრძნობაზე.

მე მოვუწოდებ ახალგაზრდა დიპლომატებს, გაითავისონ სწორედ ეს პრინციპები. ყური არ უგდონ მედროვე მავან-ავადმყოფთა ბოდვებს რაღაც „ვექტორების“ შეცვლის შესახებ.



ერთადერთი სწორი, გამართლებული, მიმზიდველი და დასაცავი ვექტორი გახლავთ „ქართული“, რაზედაც ეს წერილი კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მეტყველებს.

ნუგზარ ფოფხაძე

„დონალდ რამსფელდი, ერთდროულად, ნავსაყუდელიც იყო და გეზის მიმცემიც.

ოთხი რესპუბლიკელი პრეზიდენტის — ნიქსონის, ფორდის, რეიგანისა და ჯორჯ უ. ბუშის — სამსახურში ყოფნისას, ბევრი ამერიკელი მას წინააღმდეგობრივ ფიგურად მიიჩნევდა იმ მტკიცე, შეუვალი და შეუპოვარი ერთგულებისათვის, რომელსაც რამსფელდი მათი ადმინისტრაციების სტრატეგიული დღის წესრიგის მიმართ იჩენდა. თუმცა, მისი ყველაზე ხმამაღალი კრიტიკოსებიც კი — და ასეთები მრავლად იყვნენ — ყოველთვის აღიარებდნენ, რომ აშშ-ის ეროვნული ინტერესებისათვის რამსფელდს არასოდეს უღალატია. ის, მართლაც, ნავსაყუდელივით იყო.



დონალდ რამსფელდმა საქართველოს მოქალაქეებს დიდი ამაგი დაგვდო, რადგან ჩვენს პატარა ქვეყანაში მან პარტნიორობის დიდი პოტენციალი და სტრატეგიული ფუნქცია დაინახა და საქართველოს აშშ-ის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუმკვიდრა. რამსფელდი საქართველოს ერთგული მეგობარი, მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მხარდამჭერი იყო, რადგან ამით ის ამერიკის ეროვნულ ინტერესებსაც იცავდა — რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი დემოკრატიის შექმნა მსოფლიოს მასშტაბით; დემოკრატიული და შემდგარი სახელმწიფოების მშენებლობა, რომლებიც მყარად იდგებოდნენ ფეხზე და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ — აშშ-ის უსაფრთოებასა და სტაბილურობას განამტკიცებდა.

დონალდ რამსფელდი გეზის მიმცემიც იყო და შორსმჭვრეტელიც. 2002 წელს, მისი თაოსნობითა და ზედამხედველობით, „საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის“ (Georgia Train and Equip Program (GTEP)) უნიკალური პროგრამა შეიქმნა. ამ პროგრამამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები, გაიწვრთნა და მსუბუქი შეიარაღებით, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებებით აღიჭურვა ოთხი ბატალიონი. GTEP საქართველოს საზღვრის დაცვაში, ტერორიზმთან ბრძოლაში, კრიზისების მართვასა და სამხედრო რეფორმების განხორციელებაში დაეხმარა, რითაც მნიშვნელოვნად განმტკიცდა საქართველოსა და, იმედი მაქვს, აშშ-ის უსაფრთხოებაც. მრავალი წლის მანძილზე საქართველოს შეიარაღებული ძალები მტკიცედ და ურყევად იდგნენ აშშ-ისა და ნატოს ჯარისკაცების მხარდამხარ მსოფლიოს ისეთ ცხელ წერტილებში, როგორიცაა ერაყი და ავღანეთი.

დონალდ რამსფელდი გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი იყო, მაგრამ იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნებოდა, პირველი ნახვისას რომ ნაკლებად მოგწონთ. თუმცა, რაც უფრო მეტხანს იცნობდით, მით უფრო იხიბლებოდით მისი პიროვნებით. რამსფელდი პირდაპირი და ხისტი ჩიკაგოელი იყო. ამ ქალაქში ზღვისკენ იშვიათად მიუწევთ გული. თუმცა, პრინსტონის უნივერსიტეტისკენ გზა რამსფელდმა სწორედ სამხედრო-საზღვაო ძალებიდან გაიკვლია. მისთვის ამ გზის გადაღობვა კი, მოწინააღმდეგეებს ძვირად უჯდებოდათ.

ერთ-ერთ კერძო საუბარში დონალდ რამსფელდმა ხუმრობით გაიხსენა, რომ ახალგაზრდობაში მოყვარული მოკრივე იყო და, თუ დასჭირდებოდა, ხელის მოქნევაც ძველებურად შეეძლო. მართლაც, 2005 წელს, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე (სადაც აუდიტორიაში გახლდით), „ძველ ევროპელებზე“ ენამოსწრებული ხუმრობით მან ძლიერი აპერკოტი აწვნევინა „თავდაჯერებულ ევროსკეპტიკოსებს“ და აიძულა ეღიარებინათ, რომ ბერლინის, პარიზის, ლონდონის, ბრიუსელისა და მიუნხენის აღმოსავლეთით, აღმოსავლეთ ევროპასა და მის მიღმა არსებობს სივრცე, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ. „ბაიერიშე ჰოფის“ სასტუმროში შეკრებილ ევრო-ატლანტიკური საზოგადოების ნაღებს დონალდ რამსფელდმა ეს სტრატეგიული ფაქტი მტკივნეული მუჯლუგუნით შეახსენა. მისი გზავნილის სამიზნე დაძაბუნებული და ეგოცენტრული ევროპელი პოლიტიკოსები იყვნენ, რომლებსაც უნდა გაეცნობიერებინათ, რომ „ახალი ევროპის“ ე.წ. პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოები ამბიციური, იმპერიალისტური და რევიზიონისტული რუსეთისაგან უნდა დაეცვათ, რათა საკუთარი უსაფრთხოება და სტაბილურობა შეენარჩუნებინათ.

დონალდ რამსფელდი პრაქტიკული, მტკიცე ზნეობრივი ღირებულებების მქონე ადამიანი იყო. მახსოვს მის მიერ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის პატივსაცემად გამართული სადილი. დონალდ რამსფელდს ვაშინგტონის პოლიტიკური ელიტისათვის საქართველოს პრემიერის წარდგენა სურდა, რაც საქართველოს ახალ ურთიერთობებს, აღქმებსა და საქმეს ჰაერივით სჭირდებოდა. რამსფელდი დიდ პატივს სცემდა თავისი ქვეყნისათვის მებრძოლ ადამიანებს და არც იუმორსა და თანაგრძნობას უჩიოდა; საკმაოდ სხარტი და ენამოსწრებულიც იყო, თუმცა, ყოველთვის შედეგზე ორიენტირებული. ის საღამო საქართველოს პრემიერის მიმართ პირადი სიმპათიის გამო მოაწყო, თუმცა, სურდა, ამ სიმპათიას კონკრეტული შედეგი მოეტანა. დონალდ რამსფელდი, გულანთებულ ქართველებთან ერთად, გავლენიანი მეგობრებისა და პარტნიორების თანდასწრებით, საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობასა და პერსპექტივაზე მსჯელობდა, რათა ვაშინგტონის პოლიტიკური წრეების ნარმოსახვაში ახალი ჰორიზონტი გადაეშალა.

ახლაც მახსოვს ჩვენი ბოლო შეხვედრა მისი ფონდის ოფისში, ვაშინგტონში. ჩვენს რთულ სამეზობლოზე საუბრისას, მოკრძალებით გავუზიარე ჩემი წუხილი: საქართველოს კეთილმეზობლური თანაცხოვრება სურს რუსეთთან, მაგრამ არა — რუსეთში. ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის მოგვარების სანაცვლოდ, არასოდეს დავთმობთ დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და, განსაკუთრებით, მიწა-წყლის მთლიანობას. მახსოვს დონალდ რამსფელდის თანადგომა. **„მაგრად დადექით და არასოდეს დანებდეთ! მზად იყავით, ხელიც შეუბრუნოთ და თავი დაიცვათ! ეს ადვილი არ იქნება, რადგან უნდა იცოდეთ, როდის და როგორ დაარტყათ, ამიტომ შინაგანად და ფსიქოლოგიურად ძლიერები უნდა იყოთ! მოუარეთ თქვენს ქვეყანას და განამტკიცეთ ინსტიტუციური დემოკრატია, ეკონომიკა და კანონის უზენაესობა! გახსოვდეთ, რომ ეს ყველაფერი თავად უნდა გააკეთოთ, რადგან ამერიკელებს მხოლოდ დახმარება შეუძლიათ. დაგვეხმარეთ იმით, რომ დაგეხმაროთ!“, — რამსფელდის ეს სიტყვები ახლაც ჩამესმის.**

დონალდ რამსფელდი დიდი სიბრძნითა და იუმორით გამოირჩეოდა, მაგრამ მისთვის გზის გადაღობვა სახუმარო საქმე არ იყო — კრივის გამოცდილება თავისას შვრებოდა. სწორედ ამის გამო აფასებდნენ მეგობრები და პატივს სცემდნენ მტრები.

დონალდ რამსფელდს დრო ფუჭად არ დაუკარგავს. წლების მანძილზე ის არა მხოლოდ საუბრობდა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ამერიკის ინტერესებზე, არამედ რეგიონის ახალგაზრდა ლიდერები, მისი თაოსნობით შექმნილი CAMCA-ს პროგრამით, ვაშინგტონის პოლიტიკის ეპიცენტრშიც მიჰყავდა. დონალდ რამსფელდი ახალგაზრდებს ასწავლიდა, როგორ წარმოეჩინათ თავი და გაეკაფათ გზა; ეხმარებოდა თვალსაწიერის გაფართოებაში, უზიარებდა ამერიკულ მსოფლაღქმას, რაც, საბოლოოდ, ფასეულობებითა და სოლიდარობით გაერთიანებული ადამიანების მჭიდრო წრეს ქმნიდა. დონალდ რამსფელდმა CAMCA-ს იშვიათი მემკვიდრეობა დაგვიტოვა; საძირკველი, რომელსაც მომავალი თაობა კიდევ უფრო განამტკიცებს და განავრცობს. საკუთარი ქვეყნის სამსახურით ის ჩვენს ქვეყანასაც ემსახურებოდა და გაცილებით მეტადაც, ვიდრე, რომელიმე ჩვენგანი.

ამ ყველაფრისთვის დიდი მადლობა მას!

მარადიული სასუფეველი, დონალდ რამსფელდ!

თეიმურ ჯაფარიძე,
საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში,
საქართველოს ყოფილი
საგარეო საქმეთა მინისტრი.

ᲕᲝᲚᲤ ᲛᲔᲡᲘᲜᲒᲘ:

„ᲠᲝᲪᲐ ᲡᲙᲕᲘᲡ ᲐᲖᲠᲔᲑᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑ...“

...ᲛᲝᲒᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ **დიდად შემიყვარდა ბერლინი — ეს მეტად თავისებური, ოდნავ მოღუშული ქალაქი, რომელმაც პირველ ნახვაზე გამაოგნა თავისი სიდიდით, ხალხმრავლობით და, როგორც მაშინ მომეჩვენა, ჩემი პერსონისადმი სრული გულგრილობით. ცხადია, რომ მხედველობაში მაქვს ომამდელი ბერლინი, თორემ მის შემდეგ იქ არც ვყოფილვარ.**

მალე ჩამოსულთა სახლში შიკრიკად დავიწყე მუშაობა, მისამართებზე დამქონდა ამანათები, ვრეცხავდი ჭურჭელს, ვწმენდდი ფეხსაცმელს. ეს იყო, ალბათ, ყველაზე მძიმე დრო ჩემს ისედაც არცთუ დალხენილ ცხოვრებაში. მაგრამ, შიმშილობას მანამდეც ვიყავი ჩვეული, ამიტომ საკუთარი შრომით მოპოვებული ლუკმა პური განსაკუთრებით ტკბილი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ლუკმა ძალზე მწირი იყო. ყველაფერი, ალბათ, ტრაგიკულად დასრულდებოდა, რომ არა იღბალი: ერთხელ ქუჩაში, შიმშილისგან გული შემიწუხდა, საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, აღარ ვსუნთქავდი, სხეული გაყინული მქონდა... მკვდარი ვეგონე, ამიტომ მორგში გამამწესეს და ეჭვი არ არის, რომ მიუსაფართა საერთო საფლავშიც დამასაფლავებდნენ, ჩემდა ბედად ვიღაც სტუდენტს რომ არ შეენიშნა, რომ გული მართალია სუსტად, მაგრამ მაინც მიძგერდა...

გონს მესამე დღეს პროფეორმა აბელმა მომიყვანა, რომელსაც, როგორც ჩანს, არა მარტო სიცოცხლეს, არამედ ჩემი ნიჭის აღმოჩენასა და მის განვითარებას უნდა ვუმადლოდე. იგი ძალიან გააკვირვა საკუთარი ორგანიზმის სრულად მართვის ჩემმა უნარმა:

— თქვენ გასაოცარი მედიუმი ხართ! — მითხრა მან.

თავის კოლეგასა და მეგობართან, პროფესორ ფსიქიატრ შმიტთან ერთად მან შთაგონების ტესტების ჩატარება დაიწყო: შმიტის მეუღლე მე გუნებაში განკარგულებებს მაძლევდა, რომელთაც ვასრულებდი. ეს ქალბატონი, რომლის სახელიც კი აღარ მახსოვს, ჩემი პირველი ინდუქტორი იყო.

პირველი ცდა ასეთი იყო: ღუმელში ვერცხლის მონეტა შეინახეს, რომელიც უნდა ამომეღო, ოღონდ არა კარიდან, არამედ, კედლიდან, რომლის კაფელი ჩაქუჩით უნდა გამომემტვრია. ეს საგანგებოდ იყო ჩაფიქრებული, რათა იმის ეჭვი არ ყოფილიყო, რომ მე გასაკეთებელს კი არ მივხვდი, არამედ ბრძანება გონებით აღვიქვი. „დავალება“ მე წარმატებით შევასრულე...

სწორედ პროფესორმა აბელმა გამაცნო ჩემი პირველი იმპრესარიო ბატონი ცელმეისტერი, რომლის საყვარელი გამოთქმა იყო „კაცმა უნდა იმუშაო და იცხოვრო“, თუმცა კი ის ერთობ თავისებურად ესმოდა: მუშაობის ნებას იგი მოწყალედ თავის ქვეშევრდომებს რთავდა, თავად კი კარგად ცხოვრების უფლებას იტოვებდა. მას ძალიან უყვარდა კარგი სუფრა, ძვირფასი ღვინოები და ლამაზი ქალები — ყველაფერი ეს შემდომში მას მრავალი წლის მანძილზე ჩემს ხარჯზე ჰქონდა.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №159-160

იმპრესარიომ უმალ ბერლინის პანოპტიკუმს მიმყიდა: ყოველ კვირას, პარასკევს დილაობით, ვიდრე პანოპტიკუმის კარი გაიღებოდა, მე ბროლის კუბოში ვწვებოდი და თავს კატალეპტურ მდგომარეობაში ვიგდებდი. ამ მდგომარეობის შესახებ ლაპარაკი შემდგომშიც მექნება, ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სამი დღე-ღამის განმავლობაში — დილიდან საღამომდე — სრულიად გაუნძრევლად უნდა ვწოლილიყავი. გარეგნულადაც მიცვალებულისგან ჩემი გარჩევა შეუძლებელი იყო.

ბერლინის პანოპტიკუმი მეტად თავისებური სასეირო სანახაობა გახლდათ, სადაც ხალხს ცოცხალ ექსპონატებს უჩვენებდნენ. იქ პირველად რომ მოვხვდი, შემეშინდა: მაგალითად, ერთ ოთახში იდგნენ ერთმანეთს გვერდებით შეზრდილი დები, მეორეში იმყოფებოდა წელამდე შიშველი სქელი ქალი, რომელსაც დიდი ფუმფულა წვერი ჰქონდა, მესამეში ტრუსების ამარა შიშველი უხელო კაცი სკამზე იჯდა, რომელიც ძალიან მოხერხებულად ურევდა და არიგებდა ბანქოს ქაღალდებს, ახვევდა სიგარეტს და ასანთსაც უკიდებდა. ამ კაცს ფეხით ხატვაც შეეძლო და სეირის სანახავად მისულ ადამიანებსაც ხატავდა, ნამუშევრებს კი მერე ყიდდა. მეოთხე სათავსოში კი კვირაში სამ დღეს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე „სასწაული ბიჭუნა“ — მე, ვოლფ მესინგი ვიწექი...



პანოპტიკუმში ნახევარი წელი ვიმუშავე, მაშასადამე, დაახლოებით სამი თვე გამჭვირვალე ცივ კუბოში გავატარე. დღე-ღამეში ხუთ მარკას მიხდიდნენ, რა ფულიც მე, გამუდმებულ შიმშილობას მიჩვეულს, საარაკო თანხად მეჩვენებოდა. მეტიც, ცოტა ფულს მშობლებსაც კი ვუგზავნიდი...

მასწავლებლები — პროფესორები აბელი და შმიტი, ჩემს წვრთნას განაგრძობდნენ და ყოველ ჯერზე შედეგი უმჯობესდებოდა. ბერლინის ბაზრებში, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო, ვისწავლე გუნებაში მრავალხმიან გუნდში „ახმიანებული“ ჩემთვის საჭირო ხმის გარჩევა. დავდიოდი დახლებს შორის და თითქოს რადიომიმღების სახელურის ტრიალით სხვადასხვა სადგურს „ვაჭერდი“ — ვუსმენდი გლეხების აზრებს მეურნეობის, სურსათის ფასების, ჯალაბის და უამრავი სხვა საფიქრალის შესახებ, თანაც დროდადრო ვამოწმებდი მიღებული ინფორმაციის ნამდვილობას:

— ნუ გეშინიათ, ფრაუ, თქვენი გრეთჰენი გამრჯე გოგოა, არ დაავიწყდება ძროხების მოწველა და ღორებისთვის სალაფავის მიცემა, — ვეუბნებოდი ვინმე გაოცებისგან თვალებგადმოკარკლულ გლეხის ქალს.

ასე ვვარჯიშობდი ორ წელზე მეტ ხანს, აბელმა კიედვ ერთი რამ მასწავლა — საკუთარ ნებაზე ჩამერთო ან გამომერთო ესა თუ ის ტკივილის შეგრძნება. მერე, როცა ვიგრძენი, რომ საკუთარი შესაძლებლობების თავისუფლად მართვა შემეძლო, ზამთრის ბაღის, ვინტერგარტენის ვარიეტეში გამოსვლა დავიწყე.

საღამოს დასაწყისში ფაკირის როლში გამოვდიოდი. თავს ვაიძულებდი, არ მეგრძნო ტკივილი, როცა მკერდში ნემსებით მჩხვლეტდნენ, კისერში მახათს მიყრიდნენ...

თხუთმეტი წლისა რომ გავხდი, იმპრესარიომ კვლავ გამყიდა, ამჯერად საქვეყნოდ ცნობილ ბუშის ცირკში. იყო 1914, კაცობრიობის ცხოვრებაში ავბედითი, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წელი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ახლა კი მესმის, რომ ჩემი იმპრესარიო ბატონი ცელმეისტერი საგანგებოდ მიცავდა ცხოვრების სიავეებისგან, სურდა, რომ მთელი გულისყური წარმატებისკენ ლტოლვაზე, ფულის შოვნაზე მქონოდა.

ბერლინში კერძო მასწავლებლებთან ვმეცადინეობდი ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში, თუმცა კი განსაკუთრებით ფსიქოლოგია მაინტერესებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მოგვიანებით ვილნოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრაზე ვმუშაობდი და საკუთარ შესაძლებლობებში გარკვევას ვცდილობდი. ცნობისთვის ვიტყვი, რომ, მართალია, სისტემური განათლების მიღება ვერ შევძელი, მაგრამ ყურადღებით ვადევნებ თვალს თანამედროვე მეცნიერების განვითარებას. მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებას, ვიცი რუსული, პოლონური, გერმანული, ძველებრაული ენები...

თუმცა, მოდით, ისევ ბუშის ცირკს, 1914 წელს დავუბრუნდეთ. ჩემს პროგრამაში ცოტა რამ თუ შეიცვალა — იგივე ნემსებით ჩხვლეტები, ისევ დამალული საგნების მიგნება... დროთა განმავლობაში გარკვეული სახელიც მოვიხვეჭე, ხოლო 1915 წელს შედგა ჩემი პირველი ტურნე ვენაში, ოღონდ ახლა გამოვდიოდი არა საცირკო ნომრებით, არამედ ფსიქოლოგიური ცდების პროგრამით. სწორედ იქ, ვენაში, ბედმა დიდ ალბერტ აინშტაინთან შეხვედრა მარგუნა. აინშტაინის სამეცნიერო კვლევებისა და მიღწევების შესახებ, ცხადია, არაფერი ვიცოდი — მისი დიადი აღმოჩენის ამბავი მხოლოდ 1916 წელს გახმაურდა, მაგრამ სახელოვანი ფიზიკოსის სახელი, რაღა თქმა უნდა, გაგებული მქონდა.

როგორც ჩანს, აინშტაინს უნახავს ჩემი ერთ-ერთი გამოსვლა, რომელმაც დაინტერესა, ამიტომაც ერთ მშვენიერ დღეს თავისთან მიმიწვია, რამაც, ბუნებრივია, დიდად ამაღელვა. შინ ორნი დამხვდნენ — თავად ალბერტ აინშტაინი და ზიგმუნდ ფროიდი, სახელგანთქმული ვენელი ექიმი და ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის თეორიის ავტორი. ძნელი სათქმელია, მათ შორის, რომელი იყო იმხანად მეტად ცნობილი, მაგრამ შინაურულად ჩაცმულ აინშტაინზე მეტად მე უფრო შავ სურტუკში გამოწყობილი ფროიდი დამამახსოვრდა, რომელმაც უმალ ცდების ჩატარება მთხოვა და ჩემი ინდუქტორობა იკისრა.

დღემდე მახსოვს აზრით გადმოცემული მისი ბრძანება: მივსულიყავი ტუალეტის მაგიდასთან, ამეღო პინცეტი და, აინშტაინთან მიბრუნებულს, მისი მშვენიერი ულვაშებიდან სამი ღერი ამომეწიწკნა. მეც პინცეტი ავიღე, დიდ მეცნიერთან მივედი და, ბოდიშის მოხდით, მოვახსენე, თუ რა სურდა მის სწავლულ მეგობარს, აინშტაინმა გამიღიმა და ლოყა მომიშვირა...

მეორე დავალება უფრო იოლი იყო: აინშტაინისთვის მისი ვიოლინო უნდა მიმეწოდებინა და დაკვრა მეთხოვა. მე ეს ბრძანებაც შევასრულე. აინშტაინს გაეცინა და დაუკრა, ის საღამო არასდროს დამავიწყდება. მაშინ, ხომ სულ 16 წლისა ვიყავი...

დამშვიდობებისას აინშტაინმა მითხრა:

— თუ გაგიჭირდა, ჩემთან მოდიო...

ზიგმუნდ ფროიდს შემდგომშიც არაერთხელ შევხვედრივარ, მის ბინაშიც, ისევე, როგორც აინშტაინის სახლში, წიგნების საუფლო იყო, ერთი ოთახი კი ლაბორატორიად ჰქონდა გადაკეთებული. მას ცოტა ვინმე თუ სტუმრობდა, ეს უმეტესად, ხანდაზმული, სოლიდური, იმ დროის მოდაზე გამოწყობილი, ფაშფაშა ბაკენბარდებიანი მამაკაცები იყვნენ. ისე კი, როგორც ადამიანი, ფროიდი არ უყვარდათ: იგი გესლიანი, დაუნდობელი კრიტიკულად განწყობილი კაცი იყო, რომელსაც სრულიად დაუმსახურებლად შეეძლო მოსაუბრის დამცირება. თუმცა კი ჩემზე მან ერთობ კარგი ზეგავლენა მოახდინა — მასწავლა თვითშთაგონება და გონების მოკრება. ჰოდა, მეც, 16 წლის ჭაბუკს, განა შემეძლო არ მოვხვედრილიყავი ამ უაღრესად საინტერესო, ღრმა და, მე ვიტყოდი, ძლევამოსილი კაცის ზეგავლენის ქვეშ?! თავის ძალაუფლება კი ფროიდმა ისევ ჩემდა სასიკეთოდ გამოიყენა. ჩვენი ახლო ნაცნობობა ორ წელზე მეტხანს გაგრძელდა და მას დღესაც მადლიერების გრძნობით ვიხსენებ.

საქმე კარგად მიდიოდა, 1917 წელს კი ბატონმა ცელმაისტერმა შემატყობინა, რომ დიდ საგასტროლო ტურნეში მოვდიოდით, რომელიც ლამის მთელ მსოფლიოს მოიცავდა და უკან, ვარშავაში რომ დავბრუნდით, უკვე 1921 წელი იყო.

ამ ხნის განმავლობაში ევროპაში უდიდესი ცვლილებები მოხდა: რუსეთში — რევოლუცია, ახალი სახელმწიფო — პოლონეთი — გაჩნდა და სწორედ მის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ჩემი მშობლიური დაბა. მე 23 წლისა შევსრულდი და პოლონეთის ჯარში გამიწვიეს. რამდენიმე თვეში კი მეთაურმა გამომიძახა და მითხრა, რომ „პოლონეთის სახელმწიფოს უფროსი“ — იუზეფ პილსუდსკი მიბარებდა.

...ჩემ ცდას, თავად მარშალ პილსუდსკის გარდა, პოლონეთის მაღალი საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი, უმაღლესი რანგის სამხედრო პირი ესწრებოდა. გამოსვლის შემდეგ აპლოდისმენტებით დამაჯილდოვეს. „სახელმწიფოს უფროსი“ (სხვათა შორის, იმ წლებში ეს მისი ოფიციალური ტიტული იყო) ქალივით ცრუმორწმუნე, სპირიტიზმით გატაცებული კაცი იყო, რომელსაც „ბედნიერი“ რიცხვი... 13 უყვარდა. მან იმდენად პირადული ხასიათის თხოვნით მომმართა, რომ მის შესახებ არათუ ლაპარაკი, გახსენებაც მერიდება, ამდენად მასზე არაფერს ვიტყვი იმის გარდა, რომ სურვილი შევუსრულე.

თარგმნა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔᲛ
(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

◎ სტარტზეა ზაფხულის ოლიმპიადა

უკეთ, ვიდრე რიოში!

დღეს 15 საათზე ტოკიოში თანამედროვეობის 32-ე ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნაა. დიახ, კოვიდ-პანდემიის გამო ერთი წლით გადადებული ფორუმი უმკაცრესი შეზღუდვების თანხლებით მაინც იღებს სტარტს და სპორტის მოყვარულებს დაუვიწყარ ორკვირიან სანახაობას ჰპირდება.

შეგახსენებთ, რომ 1964 წელს იაპონიის დედაქალაქმა უკვე უმასპინძლა პლანეტის უძლიერეს ათლეტებს, ხოლო მოგვიანებით ამომავალი მზის ქვეყნის ზამთრის კურორტმა ნაგანომ თეთრი ოლიმპიადა მიიღო.

როცა 11 სახეობაში საქართველოს 35-წევრიან დელეგაციაზე ვსაუბრობთ, ხაზგასასმელია ის უმდიდრესი ტრადიციები, ჩვენს ლიცენზიანტებს რომ უმაგრებს ზურგს და ამჯერადაც საფუძვლიანი ოპტიმიზმით გვასაზრდოებს. მართლაც, 100 მედალს, მათ შორის – 36 „ოქროს“ ბევრი ქვეყანა ინატრებდა.

საამაყოა, რომ გვყავს როგორც სამგზის **(ვიქტორ სანეევი)**, ისე ორგზის **(ლევან თედიაშვილი)** და ყველა სინჯის ჯილდოს მფლობელი **(ნინო სალუქვაძე)** ჩემპიონები. სხვათა შორის, ამ უკანასკნელისთვის კარიერაში ეს მე-9(!) თამაშებია.

ბუნებრივია, ქებათაქება ყველა ლაურეატს, მაგრამ, თქვენის ნებართვით, განსაკუთრებულად მოვიხსენიებთ იმ შესანიშნავ რვეულს, ვისი ტრიუმფიც დამოუკიდებლობის პერიოდს უკავშირდება: **ზურაბ ზვიადაური, გიორგი ასანიძე, რევაზ მინდორაშვილი, მანუჩარ კვირკველია, ლაშა შავდათუაშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ლადო ხინჩეგაშვილი** და სამყაროს უღონიერესი ადამიანი **ლაშა ტალახაძე**.

ზემოთ ლეგენდები ვახსენეთ და, მოდით, ნურც **კახი კახიაშვილს** დავივიწყებთ, რომელმაც, მართალია, ორჯერ ელადის სახელით, მაგრამ მაინც სამჯერ ააბიჯა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მოკლედ, უკან დარჩა ხუთწლიანი მოლოდინი და თანამემამულეთა მორიგი მიღწევების მოლოდინში მათი გამოსვლების განრიგს გავეცნოთ.

მართლაც, უკეთ, ვიდრე რიოში!

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

96 სპორტსმენი,
მედლების 6 კომპლექტი

1 აგვისტო – იაკობ ქაჯაია.
2 აგვისტო – იაკობ ქაჯაია, გიორგი მელია.
3 აგვისტო – გიორგი მელია, რამაზ ზოიძე, ლაშა გობაძე.
4 აგვისტო – რამაზ ზოიძე, ლაშა გობაძე.

თავისუფალი ჭიდაობა

192 სპორტსმენი (96 კაცი და 96 ქალი)
მედლების 12 კომპლექტი (6-6)

5 აგვისტო – ავთანდილ კენჭაძე, გენო პეტრიაშვილი.
6 აგვისტო – ავთანდილ კენჭაძე, გენო პეტრიაშვილი, ელიზბარ ოდიკაძე.
7 აგვისტო – ელიზბარ ოდიკაძე.

კრივი

286 სპორტსმენი,
მედლების 13 კომპლექტი

24 ივლისი – ესკერხან მადიევი.
25 ივლისი – გიორგი ხარაბაძე.
26 ივლისი – ესკერხან მადიევი.
28 ივლისი – სახილ ალახვერდოვი.
29 ივლისი – გიორგი ხარაბაძე.
30 ივლისი – ესკერხან მადიევი.
31 ივლისი – სახილ ალახვერდოვი.
1 აგვისტო – ერკერხან მადიევი, გიორგი ხარაბაძე.
3 აგვისტო – სახილ ალახვერდოვი, ესკერხან მადიევი.
5 აგვისტო – სახილ ალახვერდოვი, გიორგი ხარაბაძე.
7 აგვისტო – სახილ ალახვერდოვი, გიორგი ხარაბაძე.

მძლეოსნობა

1900 სპორტსმენი,
მედლების 48 კომპლექტი

30 ივლისი – სოფიკო შათირიშვილი.
31 ივლისი – ბაჩანა ხორავა.
1 აგვისტო – სოფიკო შათირიშვილი.
2 აგვისტო – ბაჩანა ხორავა.
3 აგვისტო – ლაშა ღულელაური, გიორგი მუჯარიძე, ბენიკ აბრამიანი.
5 აგვისტო – ლაშა ღულელაური, გიორგი მუჯარიძე, ბენიკ აბრამიანი.

მხატვრული ტანვარჯიში

26 სპორტსმენი,
მედლების 2 კომპლექტი

6-7 აგვისტო – სალომე ფაჟავა.

ტყვიის სროლა

360 სპორტსმენი,
მედლების 15 კომპლექტი

25, 30 ივლისი – ნინო სალუქვაძე.

ფარიკაობა

212 სპორტსმენი,
მედლების 12 კომპლექტი

24 ივლისი – სანდრო ბაზაძე

ჩოგბურთი

172 სპორტსმენი,
მედლების 5 კომპლექტი

24 ივლისი – 1 აგვისტო – ნიკოლოზ ბასილაშვილი

ცურვა

878 სპორტსმენი,
მედლების 35 კომპლექტი

24-25 ივლისი – ირაკლი რევიშვილი.
28-29-30 ივლისი – მარიამ იმნაძე.

ძალოსნობა

198 სპორტსმენი,
მედლების 14 კომპლექტი

25 ივლისი – შოთა მიშველიძე, გოგა ჩხეიძე.
31 ივლისი – ანტონ პლესნოი.
4 აგვისტო – ლაშა ტალახაძე.

ძიუდო

386 სპორტსმენი,
მედლების 15 კომპლექტი

24 ივლისი – ლუხუმ ჩხვიმიანი.
25 ივლისი – ვაჟა მარგველაშვილი, ტატიანა ლევიცკა – შუკვანი.
26 ივლისი – ლაშა შავდათუაშვილი, ეთერ ლიპარტელიანი.
27 ივლისი – ტატო გრიგალაშვილი.
28 ივლისი – ლაშა ბექაური.
29 ივლისი – ვარლამ ლიპარტელიანი.
30 ივლისი – გურამ თუშიშვილი.

* * *

მართალია, მედლები ჯერ არ გათამაშებულა, მაგრამ საკვალიფიკაციო თამაშები ზოგიერთ სახეობაში უკვე დაიწყო.

გაუწყებთ ფეხბურთელ ქალთა ტურნირის რამდენიმე სასტარტო მატჩის შედეგს: ნიდერლანდები – ზამბია 10:3, ბრაზილია – ჩინეთი 5:0, შვედეთი – აშშ 3:0.

და კიდევ: სეოკ-ის კონგრესმა 2032 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქად ავსტრალიური ბრისბენი დაასახელა.

◎ თაობა



მედალი მედალია

ტოკიოს ოლიმპიადის სტარტამდე ბუდაპეშტში გამართულ ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საპატიო კვარცხლბეკზე ორმა ქართველმა ფალავანმა ააბიჯა, თუმცა „ოქრო“ ამჯერად ერთმაც ვერ მოიპოვა.

თანატოლთა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა უმაღლესი კატეგორიის ფორუმზე მეორე ადგილი **გიორგი გოგრიჭიანმა** დაიკავა (65 კგ), ხოლო მესამე პრიზიორი **თორნიკე სამხარაძე** (80 კგ) გახდა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 78 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული ხელბურთელი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის მონაწილე, ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრე ანპილოგოვის აღმზრდელი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

იმედო ფხაკაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ნბა

„სირტაკი“ ამერიკაში

ვისკონსინის შტატი ზუსტად ნახევარი საუკუნის განმავლობაში უცდიდა იმ დღეს, როცა „მილუოკი ბაქსი“ 1971 წლის მიღწევას გაიმეორებდა და მაიკ ბადენჰოლცერის თავკაცობით ნბა-ს ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებდა.

აღნიშნული ტრიუმფი ლამის უტოპიურად გამოიყურებოდა ფინალური სერიის 0:2 დაწყების შემდეგ „ფინიქსთან“, მაგრამ, აქედან მოყოლებული, ანტეტოკუნპფო, მიდლტონი, ჰოლიდეი, ლოპესი და კამპანია შეუჩერებლად ათამაშდნენ, ზედიზედ 4 შეხვედრა მოიგეს და ოცნება ცხადად აქციეს – 4:2.

წარმატების სულისჩამდგმელი ტრავმამოშუშებული ბერძენი უნივერსალი გახდა, რომელმაც ბოლო მატჩში (105:98) თანაგუნდელთა მონაგრის თითქმის ნახევარი – 50(!) ქულა მოაგროვა და დამსახურებულად დასახელდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ (MVP). საამისოდ იანისს 8 სეზონი დასჭირდა.

თბილისის ურბანულ მიწებზე ფასიც და მოთხოვნაც რეკორდულად გაიზარდა

თბილისის შემოგარენში არასასოფლო დანიშნულების მიწებზე ფასმა 100-150%-ით მოიმატა. იმის გამო, რომ ბოლო წლებში მშენებლობებმა დედაქალაქის ცენტრალური ნაწილიდან გარეუბნებსა და თბილისის შემოგარენში გადაინაცვლეს, ურბანული დანიშნულების მიწებზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა.

თბილისის შემოგარენში მიწებზე ფასების მკვეთრ ზრდას ადასტურებს „კომერსანტთან“ საუბარში სამშენებლო კომპანია „ივერონის“ დამფუძნებელი, ბიზნესმენი არჩილ ჯაყელი.

„თბილისთან ახლოს ურბანული დანიშნულების იაფი მიწა რეალურად არ არსებობს. ფასები მასიურად გაიზარდა, შეიძლება ითქვას, რომ სამშენებლო ბიზნესის ახლებურად გადაწყობა მოხდა, რამაც მიწის ფასზე იმოქმედა. კერძოდ, მშენებლობებით გაჯერებულ დედაქალაქში ახალი პროექტები ფაქტიურად ვერ ხორციელდება, დეველოპერებმა გარეუბნებში გადაინაცვლეს. ტენდენცია კი საკმაოდ არასახარბიელოა, რადგან მოთხოვნა არის და ამ დროს მიწების დიდი დეფიციტია. დედაქალაქის შემოგარენის დიდ ტერიტორიაზე გასაყიდი მიწა რეალურად აღარ არის. ასეთია, მაგალითად, შინდისი, სადაც 2-3 წლის წინ 1 კვადრატული მიწის შეძენა 30 დოლარადაც შეიძლებოდა, დღეს 100 დოლარად ვერ იყიდი, ჯამში, ფასების 100-150%-იანი ზრდაა და ეს ტენდენცია შეიძლება გაგრძელდეს“...

რაც შეეხება უშუალოდ სამშენებლო ბიზნესში არსებულ სიტუაციას, როგორც ბიზნესმენი განმარტავს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მასშტაბური პროექტები არ ხორციელდება და დეველოპერების უმეტესობა მცირე პროექტებზე გადაერთო.

„მშენებლობის თვითღირებულება, სულ მცირე, 10-15%-ით გაძვირებულია. ეს ძირითადად იმან გამოიწვია, რომ სამშენებლო მასალების ფასი გაზრდილია. ამ დროს ბინებს რეალურად ვერ ვაძვირებთ, რადგან რეალიზაციის დიდი პრობლემაა. მონოპოლისტური ბიზნესისთვის მსხვილი პროექტების განხორციელება არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ საშუალო ზომის კომპანიებისთვის კრიზისი რთულად გადასასტანი აღმოჩნდა. ახალი პროექტები ნაკლებად კეთდება, ძირითადად გარეუბნებზე გვაქვს აქცენტი, ეკოლოგიასა და უსაფრთხო გარემოზე ვინც ფიქრობს, მისთვის ეს გაცილებით ხელსაყრელია, ამიტომ ბიზნესიც და მომხმარებელთა სეგმენტიც ფაქტობრივად ახლებურად გადაეწყო, ამ მხრივ კოვიდმაც დიდი როლი ითამაშა“, — აცხადებს არჩილ ჯაყელი.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ რეგიონებს, როგორც ჯაყელი ამბობს, ტენდენცია თითქმის არ შეცვლილა და როგორც მოთხოვნა, ასევე ფასი, უმეტეს ნაწილში, გარდა ტურისტული რეგიონებისა, კვლავ დაბალ ნიშნულზეა.

მარი ჩიტაია

გადავარჩინოთ მარიამის სიცოცხლე!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ძვირფასო ბატონო ირაკლი,

2020 წლის 25 ოქტომბერს ოჯახი მიდიოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდველიდან სოფელ დიმში ბაბუის ეზოში ხეხილის ნერგების დასარგავად.

ბაღდათის გზაზე მოუვიდათ ავარია, სადაც ადგილზე გარდაიცვალა ამ ბავშვის, მარიამის მამა, ბებია, ბებიის ძმა და მისი 4 წლის ძმა.

მარიამი და მისი დედა კომატოზურ მდგომარეობაში გადაიყვანეს ქუთაისში, ევექსის კლინიკაში.

რამდენიმე დღეში ბავშვს შეეყარა კოვიდინფექცია და რეანიმობილით გადაიყვანეს თბილისში, ციციშვილის კლინიკაში.

მარიამის დედა გარდაიცვალა 24 ნოემბერს ქუთაისის ევექსის კლინიკაში.

მთელი ოჯახიდან ერთადერთის, მარიამის სიცოცხლეღა შემოგვრჩა და ისიც კომაშია.

როგორც მისი ახლობლები ამბობენ, მარიამის გადარჩენის ერთადერთი გზა საზღვარგარეთ მკურნალობაა, მაგრამ ოჯახს ფინანსები ამოეწურა. მოქალაქეები შეძლებისდაგვარად ეხმარებიან ფულადი სახსრებით, მაგრამ ეს ვერაა საკმარისი.

ბატონო ირაკლი, გთხოვთ, გულთან მიიტანოთ ჩვენი ტკივილი, პატარა მარიამის გასაჭირი და დაეხმაროთ!

ბატონო პრემიერ-მინისტრო, საქართველოს მოქალაქეთა ჯგუფის სახელით გთხოვთ, გადაარჩინოთ პატარა მარიამის სიცოცხლე!

წინასწარი მადლიერების გრძნობით
და ყოველივე საუკეთესოს სურვილით,

სოლომონ ნერგაძე,
მოლეკულური ბიოლოგიის ასისტენტ-პროფესორი, ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების დეპარტამენტი, პავიას უნივერსიტეტი, პავია (იტალია)
ივლისის 20, 2021, პავია, იტალია

P. S.: დანიშნულება: მარიამისთვის
მიმღები დედების ფონდი,
თიბისი ბანკი GE52TB7174136585100001
საქართველოს ბანკი GE78BG0000000162427846
საქველმოქმედო ზარი: 0901700483
www.pondi.ge — გადარიცხვა ბარათით;
www.pondi.ge/paypal — გადარიცხვა საზღვარგარეთიდან paypal სისტემით;
მისამართი: თბილისი, ლუბლიანას ქ. №38ა

სათამაშო ბიზნესს მთავრობამ გადასახადი გაუნახევრა

საქართველოს მთავრობამ თბილისში სამორინეს მოსაკრებლის შემცირების გადაწყვეტილება მიიღო. თუკი აქამდე სამორინეს სანებართვო და სალიცენზიო მოსაკრებელი თბილისში 5 მილიონი ლარი იყო, ახალი წესის მიხედვით, მისი ღირებულება 2.5 მილიონი ლარი გახდა. სამინისტროში ამტკიცებენ, რომ ამ გადაწყვეტილების მიზანი პანდემიისგან დაზარალებული კაზინოების სტიმულირებაა, ოპოზიცია კი კორუფციის ნიშნებს ხედავს!..

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სამორინეებისთვის მოსაკრებლის განახევრების შესახებ გადაწყვეტილება პოსტ ფაქტუმ თავისებურად განმარტა: იგი მიღებულია ერთჯერადად და მიზნად ისახავს პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო თბილისში მოქმედ სამორინეებში წარმოქმნილი ეკონომიკური სიძნელეების დაძლევას.

სამინისტროში აღნიშნავენ, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2020 წლის 21 მარტიდან სამორინეებს შეზღუდული ჰქონდათ საქმიანობა და მუშაობის განახლების შესაძლებლობა მათ 2021 წლის 1 აპრილიდან მიეცათ, თუმცა მიუხედავად ამისა, არსებული სირთულეების გამო, დღემდე ვერ შეძლეს მუშაობის აღდგენა.

2020 წლის 21 მარტის მდგომარეობით, თბილისში მოქმედ სამორინეებს კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარ ჰქონდათ გადახდილი სანებართვო მოსაკრებელი 5 მლნ ლარის ოდენობით. საქართველოს მთავრობამ კი მოულოდნელად მათთვის მიიღო ერთჯერადი გადაწყვეტილება. კერძოდ, თბილისში იმ სამორინეებისთვის, რომლებიც ნებართვას აიღებენ 2021 წლის 5 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე, წელს სანებართვო მოსაკრებელი იქნება 2 500 000 ლარი. გარდა ამისა, 2022 წელს 2 500 000 ლარს გადაიხდიან თბილისში მოქმედი ის სამორინეები, რომელთაც სამორინეს მოწყობის ნებართვა აღებული აქვთ 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 5 ივლისამდე.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ეს ერთჯერადი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება თბილისში მოქმედ ყველა სამორინეს და რომელიც ყველა სამორინესთან მიმართებით ვრცელდება მხოლოდ ერთი წლის სანებართვო მოსაკრებელზე (ნებართვები გაიცემა 5 წლის ვადით), დაეხმარება სექტორს საქმიანობის განახლებაში.

„იმ პირებისთვის, რომლებიც წელს ისარგებლებენ მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილებით (ნებართვას აიღებენ 2021 წლის 5 ივლისიდან 2022 წლის 1-ელ იანვრამდე), 2022 წელს სამორინეს მოწყობისათვის სანებართვო მოსაკრებელი კვლავ 5 მლნ ლარი იქნება“, — განაცხადეს ფინანსთა სამინისტროში.

ბექა დანელია

სრულიად ხელოვნური გულის კომერციული იმპლანტაცია

19 ივლისს ნეაპოლის ერთ-ერთი კლინიკის ქირურგებმა ჩირო მაიელოს ხელმძღვანელობით სრულად ხელოვნური გულის Aeson პირველი კომერციული იმპლანტაცია ჩაატარეს. პროთეზი მსხვილი რქოსანი საქონლის ორგანიზმის ქსოვილებისა და სხვა ბიოთავსებადი მასალებისგან არის დამზადებული. დატვირთვის გათვალისწინებით, ის გულის მუშაობის ინტენსივობის შეცვლის საშუალებას იძლევა. პროთეზი კვების გარე წყაროს დახმარებით მუშაობს.

ამასთან, პაციენტს ხელოვნური გულით დამატებითი აღჭურვილობის ტარება მოუწევს, რომლის წონაც 4 კილოგრამია. მათ შორის აკუმულატორებს, რომლებიც ყოველ 4 საათში უნდა დაიტენოს. ხელოვნური გული Aeson-ი იმ პაციენტებისთვის არის შექმნილი, რომლებსაც ტრანსპლანტაცია ესაჭიროებათ და დონორის მოლოდინში არიან. მწარმოებლები ფიქრობენ, რომ ასეთი გულით ცხოვრებას ადამიანი 6 თვის განმავლობაში შეძლებს, თუმცა თვითონ მოწყობილობამ შეიძლება 5 წლის განმავლობაშიც იმუშაოს. იტალიაში ჩატარებული ოპერაციის ღირებულებამ 150 ათასი ევრო შეადგინა.

თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით ღამის რეისიც აღდგება!

23 ივლისიდან საქართველოს რკინიგზა თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით კიდევ ერთ, ღამის რეისს ამატებს. შესაბამისად, თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით დღეში ოთხი რეისი შესრულდება.

სამგზავრო მატარებლების განრიგი და მოძრაობის დრო იხილეთ მოცემულ ცხრილში.

ბილეთები უკვე იყიდება ონლაინ და საქართველოს რკინიგზის სალაროებში.

აქვე შეგახსენებთ, რომ ძალაში რჩება კოვიდ-19-თან დაკავშირებული რეკომენდაციები: გამცილებლები მგზავრებს ვაგონის შესასვლელებში ჩაუტარებენ თერმოსკრინინგს, მატარებელში შესვლისთანავე კი მათ უნდა გაიარონ დეზობარიერი და ხელები დაიმუშაონ სადეზინფექციო ხსნარით. ხელის დისპენსერები ყველა ვაგონში იქნება დამონტაჟებული. მნიშვნელოვანია, მგზავრებმა წინასწარ იცოდნენ, რომ ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომების არსებობის შემთხვევაში არ გამოცხადდნენ გასამგზავრებლად. პირბადის გარეშე მგზავრები არ დაიშვებიან და მგზავრობის პროცესში მათ არ აქვთ პირბადის მოხსნის უფლება. საქართველოს რკინიგზა მგზავრებს ყველა ზემოაღნიშნული რეკომენდაციის დაცვისკენ მოუწოდებს და ბედნიერ მგზავრობას უსურვებს.

ლეგენდარული მომღერალი იუბილარია

ნანი ბრეგვაძე 85 წლისაა. საიუბილეო თარიღი წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში კონცერტით აღინიშნება. ნანი ბრეგვაძე სცენაზე კომპოზიტორ, პიანისტ და დირიჟორ ნიკოლოზ რაჭველთან ერთად წარდგა. საღამოს დათუნა ალადაშვილი და ნატალია ქუთათელაძე უძღვებოდნენ, გუშინდელი საღამოს განსაკუთრებული სტუმარი გახლდათ ცნობილი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი.

ამასთან, კულტურის პალატისა და საქართველოს პირველი არხის პარტნიორობით, წინანდლის გარდა, ნანი ბრეგვაძე კონცერტებს გამართავს ბათუმსა და თბილისში.

საოჯახო ანსამბლების თბილისური ფესტივალი

ფესტივალ „ხალხური საღამოების“ ფარგლებში საოჯახო ანსამბლებმა თბილისში კონცერტი გამართეს. მომღერალმა ოჯახებმა თბილისიდან — მელაძეებმა, ვეშაპიძეებმა,ურუშაძეებმა, თოდუებმა, მიჩილაშვილებმა, დუშეთიდან გორელიშვილებმა და ბიძინაშვილების საოჯახო ანსამბლმა კახეთიდან თავი მოუყარეს სხვადასხვა თაობის წარმომადგენელს და შეასრულეს წლების განმავლობაში თაობიდან თაობაზე გაზიარებული ქართული, ტრადიციული სამუსიკო ფოლკლორი.

საოჯახო ანსამბლების საზოგადოებისთვის გაცნობა პანდემიის დროს ექსპრომტად გაჩენილი იდეა-პროექტია, რომელიც ონლაინ-კონცერტების ფორმით დაიბადა და ძალიან მალე დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამიტომ საოჯახო ანსამბლების კონცერტებმა ოზურგეთსა და თბილისში სრული ანშლაგით ჩაიარა. ფოლკლორის ცენტრის ინიციატივით და საქართველოს კულტურისა, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფესტივალი აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება. კონცერტები ღია ცის ქვეშ კოვიდრეგულაციების სრული დაცვით იმართება და დასწრება თავისუფალია.

განახლებული თეატრი საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს

გუშინ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეაბილიტირებულ შენობაში 140-ე საიუბილეო სეზონი. გაიხსნა. თეატრი, რამდენიმე დღის განმავლობაში, რეგიონული თეატრების VII საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს.



22-24 ივლისს სენაკის თეატრის სცენაზე ითამაშებენ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო თეატრის, ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის, გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრისა და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასები.

„არქიტექტორ ვახტანგ (ხუტა) გოგოლაძის პროექტით 1953-59 წლებში აშენებული ულამაზესი თეატრი ნახევარ საუკუნეზე მეტია, სენაკის კულტურული ცხოვრების ჭეშმარიტი კერა იყო. თეატრის რეკონსტრუქცია „ქართუ“ ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა. ისტორიული შენობის რეაბილიტაციის ფარგლებში ჩატარდა პირველადი აღდგენითი სამუშაოები, გამოიცვალა შენობის სახურავი, მოეწყო თბოიზოლაციისა და სადრენაჟე სისტემები, სრულად განახლდა ელექტროგაყვანილობა. ჩატარდა ფუნდამენტისა და კედლების გამაგრებითი სამუშაოები, გარე ფასადისა და ინტერიერის სრული რეაბილიტაცია. რესტავრაცია ჩაუტარდა და აღდგა კედლის უნიკალური მხატვრობა. დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების გარე განათების, სასცენო განათებისა და აკუსტიკის სისტემები. თეატრში მსგავსი მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები არასოდეს ჩატარებულა“, — აღნიშნავენ სენაკის მერიაში.

კულტურის სამინისტრო: ტყუილია ინფორმაცია, თითქოს სამინისტროს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობის დანგრევა სურს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განცხადებით, ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ მორიგი ცრუ ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს სამინისტროს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობის დანგრევა სურს.

სამინისტრო აცხადებს, რომ სიცრუის ავტორები და მათ ზურგს ამოფარებული სხვა პირები ამ გზით საკუთარი უმოქმედობით გამოწვეული სავალალო შედეგების გადაფარვას ცდილობენ.

„სწორედ ამ ცრუ ინფორმაციის გამავრცელებელი არხის მესვეურებს და სოციალურ ქსელებში გამოთქმული ყალბი აღშფოთების ავტორებს, როდესაც იყვნენ ხელისუფლებაში და ებარათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობა, არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ მუზეუმის შენობა (ისევე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ბევრი სხვა ძეგლი) გადაერჩინათ.

სიცრუისა და ყალბი აღშფოთების ავტორებს შეუძლიათ, იხილონ ამ განცხადებაზე დართული ფოტომასალა, რომელიც მათი და მათ ზურგს ამოფარებული პირების უმოქმედობის შედეგად შალვა ამირანაშვილის მუზეუმში არსებულ ვითარებას ასახავს.

ნათელია, რომ სამინისტრო მუზეუმს კი არ ანგრევს, მუზეუმი ინგრევა სიცრუის ავტორების უმოქმედობისა და მათ მიერ პუშკინის ქუჩის მხრიდან ესტაკადის ისე მოწყობის შედეგად, რომ მუზეუმის შენობის ერთი ნაწილი გადაიქცა. ასევე, მუზეუმის შენობა სამწუხაროდ ვეღარ აკმაყოფილებს ელემენტარულ სეისმური მედეგობის სტანდარტებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

აქვე, კულტურის სამინისტრო კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებას, რომ მიმდინარე წლის ივლისში კულტურის სამინისტროს დაკვეთით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მუზეუმის შენობა უმძიმეს მდგომარეობაშია.

ლივერპული მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში აღარაა

იუნესკომ ლივერპული მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოიღო. გაეროს კულტურული სააგენტოს ცნობით, ახალი შენობები, მათ შორის სტადიონი, ამახინჯებს ქალაქის ვიქტორიანული ეპოქის ნავსადგურების იერსახეს და მას მსოფლიო ღირებულების მნიშვნელობას უკარგავს.



ლივერპული მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად 2004 წელს დასახელდა. ჩინეთში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, იუნესკომ სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ ლივერპული საერთაშორისო კულტურული ორგანიზაციის სიიდან უნდა ამოიღოს. ლივერპულის მერის ჯოან ანდერსონის განცხადებით, ორგანიზაციის გადაწყვეტილება გაუგებარია და ხელისუფლებასთან ერთად ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე იმუშავებს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 26 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0950; ევრო - 3.6437;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2166;
100 რუბლი - 4.1653; თურქული ლირა - 0.3602;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8220;
1000 სომხური დრამი - 6.3675.

ამინდი 23 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +29
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +26
თბილისი: ღამე +21, დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge